ვერსია

№40 (1730) 27 ნოემბერი — 3 დეკემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

გაშვილებული ბიჭის ამბავი

მოხუცი გამომძიებლის უკანასკნელი სპეცოპერაცია

რატომ „გაასხა“ ოპოზიციამ

„წინ განუჭვრეტელი სიბნელეა... ზეგ გეტყვით გეგმას არა, იხვი“

მაღალჩინოსნებისა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი იზრდება

საკანონმდებლო ცვლილება 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება

რა ქონებას ფლობენ ანრი ოხანაშვილი, მაკა ბოჭორიშვილი და დავით სონღულაშვილი

ირაკლი კობახიძემ მინისტრობის სამი ახალი კანდიდატურა წარადგინა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, 1980 წელს დაბადებული ა.გ. პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს.

2021 წელს, ა.გ.-ს მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, მისი მხრიდან მშობლის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელიც რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციაში იღებდა მონაწილეობას, ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის მყოფ პატრულ-ინსპექტორს თავს დაესხა და მასზე ფიზიკურად იძალადა.

სამართალდამცველებმა განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე, ა.გ. ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 4 დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

1 დეკემბრიდან, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა სავალდებულოა



ზამთრის პერიოდში, 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით მოძრაობა სავალდებულოა.

ამასთან, ზამთრის პერიოდში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, პოლიციის მიერ, შესაძლოა, დაწესდეს სატრანსპორტო საშუალების არანაკლებ წამყვან თვლებზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის დამაგრების მოთხოვნა.

ზამთრის საბურავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

საბურავზე დატანილი უნდა იყოს სიმბოლო – ფიფქი.

საბურავის პროტექტორის სიღრმე უნდა იყოს:

– არანაკლებ 3 მმ. – მსუბუქი ავტომობილებისთვის (M1) და სატვირთოებისთვის (N1, N2, N3);

– არანაკლებ 4 მმ. – მიკროავტობუსისთვის (M2) და ავტობუსისთვის (M3);

საბურავის დამზადებიდან არ უნდა იყოს გასული 10 წელი;

საბურავზე შესაძლებელი უნდა იყოს დამზადების თარიღის წაკითხვა;

ავტობუსისთვის (M3) და 3.5 ტონაზე მეტი სრული მასის მქონე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებისთვის (N2, N3) დასაშვებია იმგვარი ზამთრის საბურავით გადაადგილება, რომელზეც არ არის დატანილი სიმბოლო – ფიფქი. ამ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფი უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის დააწესოს არანაკლებ ერთი წამყვანი ღერძის ყველა თვალზე სათანადო მახასიათებლების მქონე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის დამაგრების მოთხოვნა.

მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი უნდა იყოს ქარხნული წესით დამზადებული, სატრანსპორტო საშუალების საბურავის ზომის შესაბამისი და თოვლით/ყინულით დაფარული გზის ზედაპირზე გამოსაყენებლად ვარგისი.

მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ თოვლით ან/და ყინულით დაფარულ გზაზე.

– თუ ზამთრის საბურავი ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, პოლიციელი უფლებამოსილია პირს აუკრძალოს დადგენილებით განსაზღვრულ ადგილას/გზის მონაკვეთზე შესვლა.

– თუ ზამთრის საბურავი ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ამ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, პირს შესაძლოა დროებით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალება და განთავსდეს დაცულ სადგომზე.

ზამთრის საბურავისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება 100 ლარით და მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა რაოდენობა შეუმცირდება 5 ქულით.

დეტალური ინფორმაცია ზამთრის საბურავისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის სათანადო მახასიათებლების, ასევე, იმ ადგილის/გზის მონაკვეთების ჩამონათვალის შესახებ, სადაც ზამთრის პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სავალდებულო იქნება ზამთრის საბურავებით ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვით, იხილეთ ბმულზე:

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6040563?publication=0

7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებულების – დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ დაუსწრებლად შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და ძალაში დარჩა

7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებულების – დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ დაუსწრებლად შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და ძალაში დარჩა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლეთა კოლეგიამ მიიღო.

სახელმწიფო ბრალმდებლების განმარტებით, საქმეზე ახალი გარემოებები გამოკვეთილი არ არის, რაც აღკვეთის შეცვლის საფუძველი იქნებოდა, შესაბამისად, პატიმრობა ძალაში უნდა დარჩენილიყო.

დაცვის მხარე ამ პოზიციას არ დაეთანხმა. ადვოკატ ბექა ბასილაიას თქმით, ყველა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივაციითაა დაწყებული, რის გამოც აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა უნდა გაუქმებულიყო.

მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარის, ნინო ელიეშვილის განმარტებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ დღევანდელი მოცემულობით, ის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები არ შეცვლილა, რაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაედო.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის ერთი მოწმე, იმჟამინდელი ხელისუფლების დროს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე დაიკითხა. ასევე, საზოგადოებას მიმართა ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა.

ცნობისთვის, სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური, ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმეში, სააკაშვილთან ერთად, ბრალდებულები არიან: ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.

ნინო დოლიძე

რატომ „გაასხა“ ოპოზიციამ

„წინ განუჭვრეტელი სიბნელეა... ზეგ გეტყვით გეგმას არა, იხვი“

ოპოზიციამ „გაასხა“. ვიცი, ასეთი ვულგარული სლენგის გამოყენება მთლად ეთიკური არ არის, მაგრამ, ალბათ, დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და სიმართლე ზოგჯერ „ჟარგონულადაც“ ვთქვათ. დიახ, ის, რასაც ოპოზიცია 26 ოქტომბრის შემდეგ აკეთებს, „გასხმაა“ აბა, რა არის?!
ჯერ იყო და, არჩევნების დასრულებისთანავე, ოპოლიდერები, გახარიას გამოკლებით, ტელეეკრანზე ტელეღიპუცებივით გამოლაგდნენ და ატკვარცალდნენ, აი, ეგზიტპოლების მიხედვით, გამარჯვებულები ვართო. მერე იყო და, ცესკო-ს პირველადი მონაცემები რომ წამოვიდა, შარშანდელი თოვლივით გაქრნენ და მეორე დღემდე ხმა ერთსაც არ გაუღია. ეს კიდევ არაფერი, არჩევნებიდან, მგონი, მესამე დღეს, „ნიუსი“ გავრცელდა, დღეს, საღამოს, „ოპოები“ საგანგებო ბრიფინგზე საზოგადოებას სამოქმედო გეგმას გააცნობენო. ჰოდა, იმ დღეს მთელი საქართველი სამოქმედო გეგმას ელოდა, მაგრამ აბა, გამოიცანით რა მოხდა? რა და, თქვენი გულისა, „გამოპრუწუნდნენ“ „ოპოები“ და გვითხრეს, დღეს კი არა, ორშაბათს, პარლამენტის წინ, მიტინგზე გაგაცნობთ სამოქმედო გეგმასო. ორშაბათიც მოვიდა. ხალხი პარლამენტის წინ მივიდა, მაგრამ „ოპოებმა“ ისევ, მომიტევეთ და, ზღაპრების მოყოლა დაიწყეს.

ამასობაში 25 ნოემბერი ანუ მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის დღეც დადგა და „ოპოებმა“ ისევ გულზე მჯიღის ცემა დაიწყეს, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ, ხელისუფლებას სხდომის ჩატარების საშუალებას არ მივცემთო, მაგრამ აბა, ისევ გამოიცანით, რა მოხდა? რა და, ჯერ იყო და, ოპოტელევიზიებმა 24 ნოემბერს, საღამოს, ცრუ მოლოდინი შექმნეს, აი, დასავლეთ საქართველოდან ავტომანქანების კოლონა მოდის და ავტობანზე 40-კილომეტრიანი საცობიაო. არადა, სინამდვილეში, 25-ში, დილით, პარლამენტის წინ, არათუ ცოტა ხალხი იყო, არამედ, ოპოლიდერებიც არსად ჩანდნენ. ყოველ შემთხვევაში, არსად იყო ნიკა გვარამია, რომელმაც მოგვიანებით განმარტა, ევროპაში მნიშვნელოვან შეხვედრებზე ვარო და ისიც დაამატა, რევილუციას პოლიტიკოსები არ ახდენენო.

ყოველივე ამის ფონზე, სამოქალაქო აქტივისტებმა თუ ანალიტიკოსებმა ოპოზიციის კრიტიკა დაიწყეს, რაც, ალბათ, სამართლიანია. ამ მხრივ კი ერთ-ერთი, როგორც იტყვიან, პირველი მერცხალი ანალიტიკოსი ხათუნა ლაგაზიძე იყო, რომელმაც „ტვ პირველის“ ეთერში უმწვავესი განცხადებები გააკეთა.

„ელემენტარული თვლა მაინც იცის ამ ამომრჩეველმა და ძალიან კარგად თვლის იმას, რომ ოთხივე პარტიის შეთანხმებული მოქმედების გარეშე, მათი ხმების გარეშე, ვერ შედგებოდა კოალიციური მთავრობა. და დღეს, როცა ეს პარტიები, ერთი კადრი მაჩვენეთ ერთად დგომის, როცა იმას ვერ ახერხებენ, რომ საკუთარი ამომრჩევლის ნება და ხმები დაიცვან ამ ერთი თვის მანძილზე და ერთად ვერ დადგნენ, რომელი კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე მელაპარაკებოდნენ ესენი, ამიტომაც არ გამოვიდა ამომრჩეველი. სხვა თუ არაფერი, თვლა ხომ ვიცით და ელემენტარულად დათვალა ამომრჩეველმა, რომ ეს ხალხი კოალიციური მთავრობის ფორმირებისთვის მზად არ ყოფილა იმიტომ, რომ მათი ხმების დასაცავად ვერ დადგა და არ დადგა გარეთ. თუ ასე არ ენდობოდნენ ერთმანეთს, მაშინ ვის აყრიდით თვალებში ნაცარს და რომელი კოალიციური მთავრობის ფორმირებას აპირებდით და რის და ვის ხარჯზე აპირებდით...

ჩემო მეგობრებო, გეკითხებით, 26-ში, საღამოს 9 საათზე, რატომ იდექით გაოგნებული სახეებით, ვინც გაბედეთ და დადექით ეკრანების წინ და დანარჩენები საერთოდ არ ჩანდით საათების განმავლობაში, როცა აღმოაჩინეთ, რომ ხელისუფლებამ არჩევნები მიიტაცა. თქვენ ხომ ეს ყველამ იცოდით, რომ ყველაზე რეალისტური სცენარი იქნებოდა არჩევნების მიტაცება. რატომ არ იყავით ამ სცენარისთვის მზად. თუ ასეთი გულუბრყვილოები და არაკვალიფიციურები ხართ, მაშინ, რა გინდათ პოლიტიკაში. თუ არ ხართ გულუბრყვილოები და ხართ კვალიფიციურები, კიდევ ერთხელ ვკითხულობ, რატომ არ დაუშვით ყველაზე რეალისტური სცენარი, რომ 26-ში, საღამოს 9 საათზე დაწყებულიყო მიტაცებული ხელისუფლების უკან წართმევის პროცესი.

ეს პირველი შეკითხვა, რატომ არ იყავით ამისთვის მზად და რატომ არ იყო დაგეგმილი 26-ში, საღამოს 9 საათიდან მიტაცებული ხელისუფლების უკან დაბრუნების პროცესი. დღეს ვსაუბრობდი არაჩვეულებრივად ნიჭიერ და კვალიფიციურ ხალხთან პარლამენტის წინ, აქციაზე – ერთი მხრივ, სასოწარკვეთილ და მეორე მხრივ, ბრძოლისთვის შემართულ ხალხთან. მეორე კითხვა და იმ ადამიანების კითხვაა ეს, რომ დავზუმოთ და ზემოდან დავხედოთ 26 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე გასულ ერთ თვეს. რატომ ჩნდება შთაბეჭდილება, რომ გაკეთდა ყველაფერი იმისთვის, რომ ჩაკლულიყო პროტესტი. რატომ ხდებოდა პროტესტის იმიტაცია მთელი ამ ერთი თვის განმავლობაში. ვკითხულობ და გამეცით პასუხი ამ ლეგიტიმურ კითხვაზე. ვინც არ იყო ავანგარდში, რატომ არ იყო? ესეც კითხვაა“, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

მოგვიანებით, ლაგაზიძემ, სოცქსელში, საკუთარი კითხვები თუ პრეტენზიები კიდევ უფრო მწყობრად დაწერა:

„არ არსებობს არანაირი საბაბი, რომელიც საშუალებას მისცემს პარლამენტში არჩეულ პოლიტიკურ ძალებს, რომ არ დატოვონ და შეიტყემალონ პარლამენტის მანდატები: არც რუსული კანონის გაუქმება და არც საარჩევნო კოდექსის გაკეთიშლობილება!

გეკითხებით: 1. რატომ არ იყავით მზად ყველაზე რეალისტური სცენარისთვის, რომ ხელისუფლება მიიტაცებდა არჩევნებს და რატომ არ დაიწყეთ 26 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, მიტაცებული ხელისუფლების უკან დაბრუნების პროცესი?! თქვენ ხომ ეს ყველას უნდა გცოდნოდათ, რომ ეს იყო ყველაზე რეალისტური სცენარი. თუ ისეთი გულუბრყვილოები იყავით, რომ ამას ვერ ხვდებოდით, მაშინ, რა გინდათ საერთოდ, პოლიტიკაში?!!

2. რატომ რჩება ხალხს შთაბეჭდილება, რომ 26 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე, ხდებოდა პროტესტის იმიტაცია?!

დასასრული მე-4 გვერდზე

რატომ „გაასხა“ ოპოზიციამ

მე-3 გვერდიდან

3. რატომ ვერ მოხერხდა ოპოზიციის კოორდინაცია მინიმუმ იმის აღსაკვეთად, რომ ოპოზიციურ ამომრჩეველს ართმევდნენ პირადობის მოწმობებს?!

4. რატომ ვერ მოხერხდა კოორდინაცია არჩევნების შემდეგ?! თუ ასე არ ენდობოდით ერთმანეთს, მაშინ, ვის აყრიდით თვალებში ნაცარს და რომელი კოალიციური მთავრობის ფორმირებას აპირებდით?!

რატომ არ გამოვიდა ახალგაზრდობა ქუჩაში?! აბა, გამახსენეთ, რომელმა შესთავაზა საარჩევნოდ ახალგაზრდებს გამარჯვებული პოლიტიკური პარტიებიდან პროგრამა და ხედვა კი არა, თუნდაც, ლოზუნგი. ჩვენ თუ დღეს რამე შეგვიძლია, ახალი თაობა უნდა დავიცვათ და გავუკაფოთ გზა პოლიტიკისკენ. სიმართლე ის არის, რომ დასავლეთიც შოკირებულია ამ ოპოზიციის დაქსაქსულობით და ეძებს გამოსავლის გზებს: თუ დასავლეთს მაინც მოუწია „ოცნებასთან“ თანამშრომლობა და ხიდების გადება, 100%-ით ამაზე პასუხისმგებელი იქნება ოპოზიცია.

P.S. გააზიარეთ, ვინც იზიარებთ!“

ამასთან, ოპოზიცია დრამატურგმა პაატა ციკოლიამაც გააკრიტიკა და „ფორმულას“ ეთერში განაცხადა, რომ ქართული საზოგადოება ახლა კრიზისშია, რომელსაც მართვა სჭირდება.

„ჩემს ადგილს ვერ ვპოულობ, ყველამ რომ ჩვენი ადგილი ვიპოვოთ, რამე კოორდინაცია, კოოპერაცია უნდა შეექმნათ. ყველასგან ხელდასმით, ერთი მოლაპარაკე თავი რომ ყოფილიყო. ერთად ვერ დასხდნენ და ერთიანი განცხადება ვერ გააკეთეს, რას უნდა ველოდოთ მათგან? გამოსავალი ერთია, ბრძოლა მაინც გაგრძელდება და ქართული საზოგადოება არ შეურიგდება ამ სინამდვილეს“.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, შოთა უტიაშვილმა კი სოცქსელში დაწერა:

„რადგან ყველა წერს, მეც დავწერ, საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის, სწორი იყო თუ არა ოპოზიციის ოთხ პარტიად გასვლა? ალბათ, კი, რადგან ოპოზიციამ ეს არჩევნები მოიგო. ერთიანობის შემთხვევაში, უფრო მეტ ხმას აიღებდა? არ ვიცით და ვერც გავიგებთ. არჩევნების დღეს? რა უფრო ეფექტური იქნებოდა, 17-კაციანი ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფის პირისპირ ერთი პატარა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, რომელიც მარტივად მიიჩექმა თუ მონსტრი კოალიციის დამკვირვებელი, რომელიც რამდენიმე საათში ხელისუფლებას გადაიბარებდა? რა თქმა უნდა, მეორე. არჩევნების შემდეგ? ვის დაძახილზე გამოვიდოდა ხალხი, ერთიანი კოალიციის, რომელმაც ხმების, პირობითად, 40%-ზე მეტი აიღო, თუ პატარ-პატარა პარტიების, რომლებიც გეგმაზე ზეგ უნდა შეთანხმებულიყვნენ.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თუ წინასაარჩევნო კამპანიისათვის ოპოზიციის დაშლას კიდევ არა უშავდა, მისი ეფექტი არჩევნების დღისა და პოსტსაარჩევნო პროტესტისთვის იყო უბრალოდ დამანგრეველი.

და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავია, თვითგანადგურების მასტერკლასი, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა, თუ თავის თავს ჩაუტარა. ახლა რა უნდა იყოს, ჯერ არავინ იცის, ჯერ წინ განუჭვრეტელი სიბნელეა, მაგრამ თუ სადმე სინათლის სხივი გამოჩნდა, ამ ფორმატით, ოპოზიცია ამ სხივს არ უნდა დახვდეს. ზეგ გეტყვით გეგმას არა, იხვი“.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, „ტვ კავკასიის“ დირექტორმა, ჟურნალისტმა ნინო ჯანგირაშვილმა კი საზოგადოებას „ერთი კარგი გამოძინების“ იდეა შესთავაზა:

„კარგია, რომ რაღაცების ამოთქმა დაიწყო ხალხმა. ყველაფრის ბოლომდე თქმა და გააზრება ნიშნის მოგებისთვის არ გვჭირდება. რა დროს ეგ არის. ახლა მოცემულობაა ისეთი, რომ დიდი, სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს. მე, პირადად, მინდა ვიცოდე, ამ ბრძოლაში ვის შეიძლება ვენდო და ვის – არა. ვისი იმედი შეიძლება მქონდეს და ვისი – არა. ბევრი რამე რომ უკუღმა კეთდებოდა ვიცოდით, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებდით, იქნებ, „შემთხვევით მაინც გაგვემარჯვა“. შემთხვევით გამარჯვება არ გამოვა, როცა მეორე მხარეს კარგად ორგანიზებული ბოროტება დგას. გამარჯვება უნდა

გამოვჭედოთ დიდი შრომით და ბრძოლით. შევეგუოთ ამას, ჩამოშვებული ცხვირები ავწიოთ ზევით, ერთი კარგად გამოვიძინოთ და მომავალს მივაწვეთ“.

„ჩამოშვებული ცხვირების აწევის“ ყველაზე პრაგმატულ გზას ოპოამომრჩევლებს ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა სთავაზობს, რომელიც სოცქსელში წერს:

„არანაირი ყურების ჩამოყრა! რამდენი შეცდომაც უნდა დავუშვათ ჩვენ (!), დიახ, ჩვენ – ხალხმა (პოლიტიკური სპექტრიც ჩვენი ნაწილია), რამდენჯერაც უნდა დავეცეთ, ვალდებულები ვართ, ავდგეთ და ვიაროთ წინ. ამიტომაც:

1. დაიწეროს განცხადებები უფლებამოსილების შეჩერებაზე და ჩაიხსნას სიები;

2. რადგან პრეზიდენტი ამუხრუჭებს (სამწუხაროა და გასაგებია რატომაც, მას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს, რომელიც სულაც არ მიმაჩნია, რომ სწორი იქნება სახელმწიფოსთვის) მის გარეშე შეიქმნას ეროვნული კონვენტი – ეროვნული კრება. (რაც ბატონმა ხაზარაძემ გაახმოვანა და ეს აზრი ბევრად ადრე გამოვთქვით არაერთმა ადამიანმა, საჭიროებს შინაარსობრივ შევსებას და დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ კრებამ ფუნქციონირება. (კონვენტის ჩემს ვარიანტს ქვემოთ დავდებ კომენტარებში);

3. საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და მოძრაობებმა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ბოლო პერიოდში (მაგ. „დაიტოვე“ და სხვ.) დაიწყონ კონკრეტული აქტივობები ხელისუფლების უზურპატორთა წინააღმდეგ, მათთვის მორალური დისკომფორტის შესაქმნელად;

4. 26 ოქტომბერს მომხდარი ფაქტი და შედეგი არ არის „გაყალბება“, „ხელისუფლების მიტაცება“, ეს გახლავთ რუსული სპეცოპერაცია საქართველოს ევროპული არჩევანის წინააღმდეგ, რომლის რეალიზება მოახდინა „ქართული ოცნების“ ყაჩაღთა ბანდამ. შესაბამისად, ყველა ვალდებულია (!) სწორედ ეს შეფასება გააკეთოს, როგორც შინ, ასევე – გარეთ;

5. კეთილი ინებონ პოლიტიკურმა პარიებმა და დაკავებული აქტივისტებისთვის გაკეთდეს კონკრეტული პროექტი, მათი დახმარებისა და მათი უფლებების დაცვის, ასევე, თანადგომის საჯარო დემონსტრირებით;

6. შეიქმნას დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და გააანალიზებს 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიებისა და მედიის ქმედებებს და წარმოადგენს საჯარო ანგარიშს: ეს პროცესი უნდა დაიწყოს დღეს. ახლა დაბნეულობის დრო არ არის.

ახლა ფეხზე წამოდგომის დროა. ამჯერად ეს და სხვა წამოგვეწევა ნელ-ნელა“.

წამოდგება თუ არა ფეხზე ოპოზიციური ფლანგი, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი ოპოზიციონერი რომან გოცირიძე, იგივე სოცქსელში, პოლიტიკურ მოვლენებზე ოპოზიციურ საზოგადოებაში გავრცელებულ ოთხ მითზე საუბრობს:

„ოთხი არასწორი წარმოდგენა პოლიტიკურ მოვლენებზე, რაც გავრცელებულია ოპოზიციურ საზოგადოებაში.

1. მცდარი მოლოდინების ტყვეობაში ყოფნა. „ვარდების რევოლუციის“ ანალოგის ძებნა პოლიტიკური პროტესტებისას. თუ ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა, რევოლუციით უნდა დამთავრდეს. ამ ილუზიების შექმნას ოპოზიციის ერთმა ნაწილმაც შეუწყო ხელი. ახლა მის შედეგებს იმკის.

2. „თეთრ რაშზე“ ამხედრებული, ერთი გამოკვეთილი ქარიზმატული ლიდერის აუცილებლობა წარმატების მისაღწევად ანუ მოთხოვნა ბელადზე. ბევრი ლიდერი თურმე ცუდია, რადგან განსხვავებული აზრები გააჩნიათ, რაც ხელს უშლის საქმის ორგანიზებას. ჯოგის წინამძღოლის (ყოჩის) მოდელზე აგებული მენეჯმენტისადმი თაყვანისცემა. მესიანიზმი ქართულ პოლიტიკური ცხოვრებისათვის სულაც არაა უცხო ხილი.

3. როცა შედეგები არ დგება, საჭიროა ძველი პარტიების ახლებით ჩანაცვლება. მორიგი გულუბრყვილო წარმოდგენა პოლიტიკური ცხოვრების ბუნებაზე. პარტიებისა და თუნდაც ლიდერების წარმოშობას სჭირდება წლები, ხშირ შემთხვევაში, ერთ ან ორ ათეულ წელზე მეტი, სჭირდება შესაბამისი გარემო, საჭიროა ობიექტური „საბაზრო მოთხოვნა“, რომელიც „მიწოდებას“ წარმოშობს. შეკვეთით „ახალი სახეები“ არ იჩეკებიან.

4. ხალხის (ამომრჩევლის) კრიტიკა ტაბუირებულია. ხალხის ბრალი არ ყოფილა, რომ იყიდება ან უპრინციპოდ იქცევა. ხალხზე (განსაკუთრებით მის გაჭივრებულ ნაწილზე) პასუხისმგებლობის თუნდაც ნაწილობრივი დაკისრება არასწორია. ოპოზიციის ბრალია, რომ ვერ შეძლო მისი დარწმუნება და სწორ გზაზე დაყენება და ასე შემდეგ. კიდევ ბევრი, სხვა მცდარი შეხედულებების ჩამოთვლა შეიძლება. ოპოზიციას თავისი ცოდვებიც ეყოფა, ყველაფერი მას რომ არ ავკიდოთ.

ოპოზიციის შეცდომების განხილვის დროც მოვა. ახლა, ცხელ გულზე, ამაზე საუბარი ობიექტური ვერ იქნება. პოლიტიკური მომენტი ან ზედმეტად ლოიალურს გხდის, ან ზედმეტად კრიტიკულს. დროსაც შერჩევა უნდა. პრიორიტეტი ამ წუთას სხვაა“.

ყოველივე ზემოთქმულს ერთი ქართული ანდაზა შეეფერება – ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდისო...

და კიდევ: ოპოზიციის მაგალითი აჩვენებს, რომ ხალხს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს და მესიის ძებნას თავი დაანებოს...

მაღალჩინოსნებისა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი იზრდება

მაკა რუხაძე

მაღალჩინოსნებსა და საჯარო სექტორში დასაქმებულებს 2025 წლის 1 იანვრიდან, ხელფასი გაეზრდებათ. „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდის შესახებ, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 7 მარტს, 77 ხმით მიიღო. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში ცვლილებების ავტორები არიან ქართული ოცნების დეპუტატები: რატი იონათამიშვილი, ანრი ოხანაშვილი, გივი მიქანაძე, მიხეილ სარჯველაძე, გია ცაგარეიშვილი და დავით მათიკაშვილი.

საკანონმდებლო ცვლილება 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება

კანონით, რომელიც ოფიციალურად, 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, მაღალჩინოსნებისთვის მინიჭებული ხელფასის შესაბამისი კოეფიციენტი საჯარო სამსახურში დაწესებულ საბაზისო ანაზღაურებაზე გამრავლდება და ხელფასიც ამის შესაბამისად განისაზღვრება.

მინიჭებული კოეფიციენტების შესაბამისად, 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ხელფასი 13 300 ლარი იქნება; მინისტრების, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეების შრომის ანაზღაურება – 11 305 ლარი.

სახელასო ხარჯების ზრდა უკვე გათვალისწინებულია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

2025 წლიდან, საქართველოს პარლამენტში შრომის ანაზღაურება 10 მილიონი ლარით – 43.9 მილიონიდან 53.9 მილიონამდე იზრდება.

უფრო კონკრეტულად: პარლამენტის წევრს, რომელსაც საპარლამენტო თანამდებობა არ უჭირავს, ხელფასი გაეზრდება 3 626 ლარით და განესაზღვრება 8 250 ლარით; პარლამენტის თავმჯდომარის ხელფასი გაიზრდება 3 260 ლარით და 2025 წლის 1 იანვრიდან იქნება 10 000 ლარი; პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ხელფასი გაიზრდება 3 100 ლარით და გახდება 9 500 ლარი; პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი გაიზრდება 2 910 ლარით და გახდება 9 250 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის ხელფასი გაიზრდება 3 460 ლარით და გახდება 9 000 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და ფრაქციის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ხელფასი გაიზრდება 3 950 ლარით და გახდება 8 750 ლარი; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი გაიზრდება 3 760 ლარით და გახდება 8 500 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შრომის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი ხარჯი 3.9 მილიონიდან 4.3 მილიონ ლარამდე იზრდება. მთავრობის ადმინისტრაციაში – 10.6 მილიონიდან 13.3 მილიონამდე

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ზრდა მოიცავს საჯარო მოხელეებისთვის ინდექსაციით – 10%-ით გაზრდილ შრომის ანაზღაურებასაც.

გარდა ამისა, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასის ზრდაც. ბოლო სამ წელიწადში, პოლიციელებისა და ჯარისკაცების შრომის ანაზღაურება 45%-ით, ხოლო საჯარო მოხელეების – 30%-ით გაიზარდა.

განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით

დასასრული მე-6 გვერდზე

მაღალჩინოსნებისა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი იზრდება

ლარი და აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასის 10%-იანი ზრდა.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, საბაზო თანამდებობრივი სარგო, 2024 წელთან შედარებით, იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის 10%-ით ზრდასაც.

საქართველოს კანონით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტით, ყოველწლიურად განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო, რაზეც მრავლდება თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის საშტატო განრიგით განსაზღვრული კოეფიციენტი და სწორედ ამის შესაბამისად განისაზღვრება საჯარო მოხელის ყოველთვიური ანაზღაურება.

მე-5 გვერდიდან

(საბავშვო ბაღების დაფინანსების ჩათვლით), დაფინანსება გაზრდილია 1 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტით (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 20%) და ამ სფეროს დაფინანსება 3 მილიარდ 300 მილიონ ლარს გადააჭარბებს (ზრდა 65%-ზე მეტით). გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში, შესაძლებელი გახდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა საშუალო ხელფასის ზრდა 700-800 ლარის ფარგლებში, ხოლო საბავშვო ბაღების პერსონალის საშუალო ხელფასის ზრდა – 300 ლარით.

ამასთან, ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტით, 2025 წელს, თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1.6 მილიარდი ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ჯარისკაცების ხელფასი 10%-ით გაიზრდება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1.350 მილიარდი

ვახტანგ გომელაური: „მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ პოლიციელსა და შსს-ს თანამშრომლებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას“

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა პარლამენტში, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში, მოხსენებით წარდგენისას სამინისტროს ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაურის თქმით, წლების განმავლობაში უწყების მიერ მიღწეული წარმატებები, სწორედ პოლიციელების შრომის შედეგია.

„დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ პოლიციელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ წლების განმავლობაში მიღწეული წარმატებები არის ამ ადამიანების, თითოეული მათგანის დამსახურება“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამების ჩამონათვალში ცვლილები შევიდა – აბიტურიენტებს გარკვეული მწერლების შემოქმედების ჩაბარების ვალდებულება აღარ ექნებათ

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ალექსანდრე წულაძის გადაწყვეტილებით, 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამების ჩამონათვალში ცვლილები შევიდა.

კერძოდ, შემცირებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამაში შესული მასალის მოცულობა და რიგ შემთხვევაში, აბიტურიენტებს გარკვეული მწერლების შემოქმედების ჩაბარების ვალდებულებაც აღარ აქვთ.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამიდან ამოღებულია: სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების ნაწილი. აბიტურიენტებს მხოლოდ „სიბრძნე სიცრუისა“ და „ლეონის თავგადასავლის“ სწავლა მოუწევთ. იგავ-არაკები კი საერთოდ ამოღებულია;

საგამოცდო პროგრამების ნუსხაში დავით გურამიშვილის შემოქმედების გასულ წელს არსებული ვრცელი სიიდან მხოლოდ ორი ნაწარმოებია დარჩენილი;

ამოღებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩა“;

შემცირებულია გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ჩამონათვალიც და მხოლოდ „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ არის დარჩენილი;

შემცირებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ნაწილი. ილია ჭავჭავაძის ლექსებიდან „ბედნიერი ერი“; პასუხის პასუხი“; „ჩემო კალამო“; პოემა „განდეგილი“, „აჩრდილი“ და მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ საგამოცდო პროგრამიდან სრულად ამოღებულია;

საერთოდ ამოღებულია ალექსანდრე ყაზბეგის, პაოლო იაშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება, ხოლო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებიდან ნაწილი, მათ შორის: „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმიც“ ამოღებულია;

უცვლელადაა დატოვებული დავით კლდიაშვილის, გურამ დოჩანაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ რჩეულიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის ის ნაწარმოებები, რომლებიც 2024 წლის საგამოცდო პროგრამაში იყო;

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან მხოლოდ „მშობლიური ეფემერაა“ ამოღებული;

რა ქონებას ფლობენ ანრი ოხანაშვილი, მაკა ბოჭორიშვილი და დავით სონღულაშვილი

მაკა რუხაძე

ირაკლი კობახიძემ მინისტრობის სამი ახალი კანდიდატურა წარადგინა

საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებებია. ირაკლი კობახიძემ საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები შეცვალა. ორშაბათს, 25 ნოემბერს, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პოტზე – მაკა ბოჭორიშვილის, იუსტიციის მინისტრის პოსტზე – ანრი ოხანაშვილისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე – დავით სონღულაშვილის კანდიდატურები წარადგინა. შესაბამისად, „ვერსია“ სამივე ახალი მინისტრის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, სამთავრობო ცვლილებების ოფიციალურ ნაწილს გაგაცნობთ.

ცვლილებების ოფიციალური ვერსია

მთავრობის მეთაურმა, ირაკლი კობახიძემ მინისტრობის კანდიდატების წარდგენამდე, აწ უკვე ყოფილ მინისტრებს – ილია დარჩიაშვილს, რატი ბრეგაძესა და ოთარ შამუგიას გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერის განცხადებით, თითოეულმა მათგანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის მიერ, ბოლო წლების განმავლობაში, მიღწეულ წარმატებებში.

„როგორც მოგეხსენებათ, დღეს (25 ნოემბერს), საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად შედის საქართველოს მთავრობის განახლებული შემადგენლობა. გვაქვს გარკვეული ცვლილებები მთავრობის შემადგენლობაში. ეს ცვლილებები შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ვიდრე წარდგენაზე გადავალ, მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ილია დარჩიაშვილს, რატი ბრეგაძესა და ოთარ შამუგიას მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის. თითოეულმა მათგანმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა იმ წარმატებაში, რომელიც ჰქონდა ჩვენს ქვეყანას გასული წლების განმავლობაში. კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა თითოეულ მათგანს გაწეული საქმიანობისთვის. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ სამივე მათგანი განაგრძობს საქმიანობას მაღალ თანამდებობებზე სახელმწიფო სამსახურში, რასთან დაკავშირებითაც დეტალებს მოგვიანებით გაგაცნობთ“, – აღნიშნა კობახიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე პრემიერმა მაკა ბოჭორიშვილის კანდიდატურა წარადგინა და განაცხადა, რომ ოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ის დიპლომატიურ სფეროში წარმატებით საქმიანობდა.

„წარმოგიდგენთ საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურას, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს – ეს გახლავთ მაკა ბოჭორიშვილი. მას, ისევე, როგორც სხვა კანდიდატურებს, არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა, თუმცა კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ მაკა ბოჭორიშვილს აქვს ძალიან მდიდარი გამოცდილება დიპლომატიურ სამსახურში. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ის თავის საქმიანობას ახორციელებდა ძალიან დიდი წარმატებით, დიპლომატიურ სფეროში, 1999 წლიდან 2020 წლამდე. როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლიდან, ის გახლავთ საქართველოს პარლამენტის, ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, მისმა საქმიანობამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს წარმატებაში სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის, ამ წლების განმავლობაში, ქვეყანას ჰქონდა კონკრეტული წინსვლა ევროინტეგრაციის მიმართულებით, ქვეყანა მიიღო კანდიდატის სტატუსი და ამაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მაკა ბოჭორიშვილის საქმიანობასაც. პროფესიით, მაკა ბოჭორიშვილი არის იურისტი, მას ასევე დამთავრებული აქვს დიპლომატიური აკადემია, აქვს შესაბამისი განათლება, შესაბამისი გამოცდილება, ფლობს რამდენიმე უცხო ენას, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მინდა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე წარმოგიდგინოთ მაკა ბოჭორიშვილი და მისი კანდიდატურა წარდგინება დღეს პარლამენტს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ანრი ოხანაშვილი წარადგინა. მისივე თქმით, ანრი ოხანაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იურისტია საქართველოში, რომელმაც განათლება მიიღო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, გერმანიაში.

„ანრი ოხანაშვილს არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა, იგი გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო, პროფესიონალი იურისტი საქართველოში. მას აქვს მიღებული ძალიან ღრმა განათლება ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდეგ დამთავრებული აქვს მაგისტრატურა იენის უნივერსიტეტში, გერმანიაში და ასევე სადოქტორო დისერტაცია აქვს დაცული გერმანიაში, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. 2017 წლიდან, ის გახლავთ საქართველოს პარლამენტის წევრი, წლების განმავლობაში, იკავებდა იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობას და ყველა მიმართულებით იყო ძალიან წარმატებული თავის საქმიანობაში. ანრი ოხანაშვილი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება ძალიან კარგი იუსტიციის მინისტრი, მინდა წარმატებები ვუსურვო იუსტიციის სამინისტროში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად, ირაკლი კობახიძემ დავით სონღულაშვილი წარადგინა. როგორც მთავრობის მეთაურმა ბრიფინგზე განაცხადა, დავით სონღულაშვილი არის პროფესიონალი და მას განათლება მიღებული აქვს ეკონომიკის მიმართულებით.

„მინდა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად წარმოგიდგინოთ დავით სონღულაშვილის კანდიდატურა და არც მას სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. დავით სონღულაშვილს აქვს ღრმა განათლება შესაბამის სფეროში, ბიზნესის, ეკონომიკის მიმართულებით, მას დამთავრებული აქვს კავკასიის ბიზნეს სკოლა და გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლა. ის არის საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრი, გახლავთ საქართველოს პარლამენტის წევრი უკვე მრავალი წელია. სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა

დასასრული მე-8 გვერდზე

რა ქონებას ფლობენ ანრი ოხანაშვილი, მაკა ბოჭორიშვილი და დავით სონღულაშვილი

მე-7 გვერდიდან

კომიტეტის თავმჯდომარე, მათ შორის ევროინტეგრაციის კომიტეტის, ის იყო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, მანამდე ძალიან წარმატებულ საქმიანობას აწარმოებდა კერძო სექტორსა და სახელმწიფო სამსახურში. დავით სონღულაშვილი არის პროფესიონალი და დარწმუნებული ვართ, რომ ის იქნება არაჩვეულებრივი მინისტრი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძემ წარდგენილ კანდიდატებს წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ ახალი მინისტრების ხელმძღვანელობით, ძალიან დიდი წარმატება გვექნება ყველა მიმართულებით:

„ქვეყანას ექნება წინსვლა კონკრეტულად იმ მიმართულებებით, რომლებსაც უხელმძღვანელებენ ჩვენს მიერ წარმოდგენილი კანდიდატები. კიდევ ერთხელ, მადლობას გადავუხდი ილია დარჩიაშვილს, რატი ბრეგაძესა და ოთარ შამუგიას. მინდა, კიდევ ერთხელ წარმატებები ვუსურვო სამივე კანდიდატს“, – დასძინა პრემიერმა.

ახალი მინისტრების დეკლარაციები

დავიწყოთ ანრი ოხანაშვილით, რომელმაც ქონებრივი დეკლარაცია 2024 წლის 29 იანვარს შეავსო. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ჰყავს მეუღლე – მაკა ხოდელი და სამი შვილი – მარიამი, ანა და ნუცა.

მაკა ხოდელის 100%-იან საკუთრებაშია 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი თბილისში, გრიგოლ ფერაძის პირველი ჩიხის #16-ში. დეკლარაციაში მითითებულია, რომ მიწის ეს ნაკვეთი დეპუტატის მეუღლეს 2018 წელს აჩუქეს.

2019 წელს, მსუბუქი ავტომობილის გასხვისებიდან 9 500 აშშ დოლარი მიუღია, 2002 წლის დანაზოგი შემოსავლიდან – 4 000 ევრო, ხოლო მაკა ხოდელის მიერ, ვადიანი ანაბრიდან გამოტანილი თანხის ოდენობა 4 170.5 ევროა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ანრი ოხანაშვილის, როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის წლიური შემოსავალია 53 449.92 ლარი, რომელშიც გათვალისწინებულია საპენსიო დაგროვებაც – 1 329.60 ლარი, ხოლო მისი, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტისა და ასოცირებული პროფესორის წლლიური შემოსავალი 7 017.95 ლარია.

მაკა ხოდელის, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალია 13 665.71 ლარი, რასაც 2023 წლის 14 ნოემბრიდან, ამავე შემოსავალში დაემატა თსუ იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის სახელფასო ანაზღაურება. ამ შემოსავალში გათვალისწინებულია საპენსიო დაგროვებაც – 339.94 ლარი.

მაკა ხოდელის, როგორც შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნეირებათა სამართლის ასოცირებული პროფესორის წლიური შემოსავალი 3 577.8 ლარი. დეპუტატის მეუღლე საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის – IRZ სისხლის სამართლის ქართულ-გერმანული ელექტრონული ლექსიკონის პროექტში მონაწილეობდამ სადაც ანაზღაურების სახით – 100 ევრო მიიღო, ამავე ფონდის ჟურნალისთვის სტატიის თარგმანში – 56 ევრო, ხოლო ამ ფონდის ჟურნალის საორგანიზაციო საკითხებში – 367 ევრო.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მაკა ხოდელს აქვს ვადიანი ანაბარი ლიბერთი ბანკში – 4 169.6 ევროს ოდენობით.

საერთაშორისო სამეცნიერო სამართლებრივი ფონდიდან – IRZ, ანრი ოხანაშვილს სამეცნიერო ჰონორარის სახით, 1 000 ევრო მიუღია, მის მეუღლეს კი თსუ-დან, სამეცნიერო მივლინების ჰონორარის სახით – 3 551 ლარი.

სამივე შვილის სწავლის საფასური დეპუტატს, დაახლოებით, 20 000 ლარამდე უჯდება.

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა, მაკა ბოჭორიშვილმა დეკლარაცია 2024 წლის ივნისში შეავსო. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ მის საკუთრებაშია ორი ბინა თბილისში, რომელთაგან ერთი – 2019 წელს, 90 000 აშშ დოლარად აქვს შეძენილი, ხოლო მეორე – მიმდინარე წელს, 180 000 აშშ დოლარად. მაკა ბოჭორიშვილი ფლობს მიწის ნაკვეთს წავკისში, რომლის ღირებულება 77 000 აშშ დოლარია.

გარდა ამისა, მის სახელზეა მემკვიდრეობით გადაცემული საცხოვრებელი სახლისა და მშენებარე ბინის 50%-იანი წილებიც.

რაც შეეხება ფინანსურ მდგომარეობას, საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე ფლობს 2 350 ლარს, 7 317 აშშ დოლარს, 29.27 ევროს, ანაბარზე – 700 აშშ დოლარს; ასევე, BELFIUS-ის მიმდინარეზე – 372.41 ევროს, ხოლო ანაბარზე – 1 611.81 ევროს.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მაკა ბოჭორიშვილს, გასულ წელს, საპარლამენტო საქმიანობიდან ხელფასის სახით – 53 004 ლარი მიუღია.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატ დავით სონღულაშვილს ქონებრივი დეკლარაცია 2024 წლის 31 იანვარს შეუვსია.

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სონღულაშვილის მფლობელობაშია ტაბახმელაში, შავნაბადას ქუჩაზე მდებარე 1 500 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც 2007 წელს, 5 000 ლარად შეუძენია, ასევე – 600 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი დაბა კოჯორში, ზაქარია ბაქრაძის I შესახვევში, რომელზეც განთავსებულია 76 კვ.მეტრი ფართობის ავტოფარეხი და 227 კვ.მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი, რომელიც 2016 წელს, 120 000 ლარად შეუძენია. ასევე, 336 კვ.მეტრი ფართობის ბინა ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე, რომელიც 2016 წელს, 400 000 ლარად შეიძინა.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებზე დაფიქსირებულ მნიშვნელოვან თანხებს, დავით სონღულაშვილს აქვს 10 975 ლარის კრედიტი, ხოლო საბარათე ანგარიშზე – 3 275 ლარი. მის შვილს, ბიძინა სონღულაშვილს, ანაბარზე აქვს 55 657 ლარი, მეორე შვილს, სესილი სონღულაშვილს კი ანაბარზე – 6 695 აშშ დოლარი.

დავით სონღულაშვილს დანაზოგის სახით აქვს 70 000 აშშ დოლარი და 15 000 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ დავით სონღულაშვილი და მისი ოჯახის წევრები რამდენიმე კომპანიის მეწილეებიც არიან, თუმცა უმრავლესობაზე მითითებულია, რომ ამ ეტაპზე, ეს კომპანიები არ ფუნქციონირებენ. მინისტრობის კანდიდატის საკუთრებაშია 16.67%-იანი წილი შპს „დრაი ქლინინგ ჯორჯიაში“, თუმცა ამ კომპანიიდან შემოსავალი არ მიუღია, კომპანიის საქმიანობის სფეროა ქიმწმენდა და რეცხვა.

სონღულაშვილი 16%-ს ფლობს შპს „გამსახურდიას 5“-ში, რომლის საქმიანობის სფერო უძრავი ქონების გაქირავება და მართვაა. მიღებული შემოსავალი სონღულაშვილს არც ამ კომპანიიდან უფიქსირდება. 2016 წელს, ამ კომპანიამ 120 000 ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“.

როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, დავით სონღულაშვილს, 2023 წელს, 52 559 ლარის შემოსავალი მიუღია.

მასვე, საქართველოს ბანკში აღებული აქვს 678 200 ევროს ათწლიანი სესხი, რომელშიც გადახდილი აქვს 88 887 ევრო. შვილების სწავლის საფასურში კი, დაახლოებით, 12 000 ლარი დაუხარჯავს.

სამართალი

№40 27 ნოემბერი 2024 წ

გაშვილებული ბიჭის ამბავი

მოხუცი გამომძიებლის უკანასკნელი სპეცოპერაცია

ბათო ჯაფარიძე

გამოთქმა – „ყოფილი კაგებეშნიკი არ არსებობს“, თავისუფლად შეგვიძლია მივუსადაგოთ, პრაქტიკულად, ყველა ძალოვან უწყებას და... ჟურნალისტებსაც კი. ძნელია, ძალიან ძნელია, პროფესიული ჩვევების დავიწყება და არცთუ იშვიათად, „პენსიაზე“ გასული ძალოვნები ან ჟურნალისტები, სწორედ ამ პროფესიული ჩვევების გამო, საინტერესო ან არასასიამოვნო სიტუაციებში ეხვევიან.

მილიციის განყოფილებაში 50 წელს გადაცილებული ქალბატონი მივიდა, შეხვედრა განყოფილების უფროსთან მოითხოვა და მაშინვე, ყოველგვარი ახსნა-განმაარტებების გარეშე, კაბინტისკენ გააცილეს. ეს ადვილი გასაგებიც იყო – ქალი დამსახურებული გამომძიებლის მეუღლე გახლდათ, გამომძიებლის, რომელსაც თითქოს გაუხსნელი საქმეების გახსნა ეხერხებოდა და კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მართალია, ის ახლა პენსიაზე იყო, მაგრამ ჩახლართული საქმეების გამოსაძიებლად კონსულტაციისთვის არცთუ იშვიათად იწვევდნენ და ისიც სიხარულით მიდიოდა, გამომძიებლის ალღო არ ჰქონდა დაკარგული და კოლეგებს ფასდაუდებელ რჩევებს აძლევდა.

„ერთი შეხედვით, თითქოს ხმაური არ უნდა ავტეხო, მაგრამ... ჩემი ქმარი გუშინ დილით გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა. ასე არასდროს მომხდარა და იმიტომ ავფორიაქდი. კი იცით, სამი თვის წინ, გულზე ოპერაცია გაიკეთა, ძალიან სუსტად არის. რაც მთავარია, მჯერა, რომ შორს არ წასულა, რადგან პასპორტი სახლში დატოვა, საფულეც სახლშია. ასე იქცეოდა, როცა ახლოში გადიოდა, ჩაიდებდა ყველაზე დიდი, 15-20 ლარს და საფულით თუ სახლის გასაღებით ჯიბეებს არ იტვირთავდა. ახლაც ასეა, გავიდა და გაქრა. ეჭვი მაქვს, სადმე ცუდად გახდა, მაგრამ სად? ვერც საავადმყოფოებში მივაგენი და საბედნიეროდ, ვერც – მორგებში. ახლა კი, თქვენთან მოვედი და იმედი მაქვს, დამეხმარებით“, – ქალს ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული სათქმელი, როცა განყოფილების უფროსმა საგანგებო მოწყობის ბრძანება გასცა და ყველა თანამშრომელს უთხრა, ძებნა დაეწყოთ. სურათი არავის სჭირდებოდა, ყველამ იცოდა, ვის ეძებდა, მაგრამ ქალის მიერ მიტანილი ფოტო მაინც გადაიღეს და ყველას ჩამოურიგეს, თქვენ კი იცით, ვის ეძებთ, მაგრამ ხალხს რომ ჰკითხავთ, ხომ უნდა აჩვენოთო.

სამართალდამცავებს იმიტომ უფრო სურდათ ვეტერანი გამომძიებლის მონახვა, რომ ბოლო დროს, მან სერიოზული ტრაგედია გადაიტანა. ასაკში მეორე შვილი ეყოლა, ულამაზესი, თვალხატულა გოგონა, მაგრამ რვა წლის იყო ბავშვი, როცა ლეიკემიის უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. გამომძიებელს უფროსი შვილიც ჰყავდა, ისიც გოგონა, რომელიც გათხოვილი იყო, მაგრამ მშობლები პატარას გარდაცვალეებას ვერ ინელებდნენ და დაახლოებით, ნახევარი წლის წინ, ბავშვთა სახლიდან 5 წლის ბიჭი იშვილეს, თან ჰყვებოდნენ, ცხოვრებამ ისევ აზრი შეიძინა, გამომძიებელს სულ თან დაჰყავდა პატარა და ახლა... ახლა თავად დაიკარგა, გაქრა. ძალოვნების გასაკვირად, მათ დაკარგული კოლეგის კვალს ვერსად მიაგნეს. კი ნახეს რამდენიმე მეზობელი, რომელმაც დაინახა, როგორ გავიდა კაცი ეზოდან, როგორც წესი, მიესალმა, მეზობლები მოიკითხა და ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გავიდა. იმას კი ამბობდნენ, მაღაზიაში არ წავიდოდა, აშკარად სამგზავროდ იყო გამოწყობილიო. სხვა გზა არ იყო, სამართალდამცავებს ბინა უნდა გაეჩხრიკათ, ეგებ, იქ მიეგნოთ იმის მიზეზს, თუ რა იყო მათი ყოფილი კოლეგის დაუჩინარების მიზეზი და რამე ისეთი ენახათ, რომ მიმხვდარიყვნენ, სად შეიძლებოდა წასულიყო მამაკაცი. რა თქმა უნდა, დაკარგულის მეუღლე ბინის ჩხრეკას მარტივად დათანხმდა.

პრინციპში, გასაჩხრეკი არაფერი იყო, მხოლოდ მის საბუთებს გადახედეს, დოკუმენტაციას, რომელსაც ყოველ საღამოს ფურცლავდა, რაღაცებს ინიშნავდა, რაღაცებს თითქოს ახლიდან აღმოაჩენდა ხოლმე და ახლა ამ ქაღალდებს ახალგაზრდა მაძებრები ჩაუსხდნენ. დაახლოებით, ორსაათიანი ქექვის შემდეგ, დიასახლისს ძალიან ფრთხილად ჰკითხეს, პატივცემული გამომძიებელი, შემთხვევით, თქვენი აყვანილი შვილის ნამდვილ მშობლებს ხომ არ ეძებდაო? ქალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და მხრები აიჩეჩა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ გამომძებელი აქტიურად იყო დაკავებული ბავშვის ნამდვილი მშობლების ძიებით. ამიტომ, სამართალდამცავები იმ ბავშვთა სახლში მივიდნენ, საიდანაც ბიჭუნა გააშვილეს.

„ბევრს ვერაფერს გეტყვით, ბავშვი კართან დატოვეს, მას მხოლოდ ინიციალებიანი მაისური ეცვა, რომელიც შევინახეთ და როცა გავაშვილეთ, მომავალ მშობლებს მივეცით“, – განაცხადა ბავშვთა სახლის დირექტორმა.

ინიციალები ბევრს არაფერს იძლეოდა, მაგრამ ისე ჩანდა, რომ სწორედ ამ ინიციალებით მიაგნო გამოძიებელმა ნამდვილ მშობლებს და ვინ იცის, ეგებ, მათ სანახავადაც წავიდა. ქაღალდებში რამდენიმე სოფელი იყო მონიშნული და მათი შემოწმება გადაწყდა. ხომ შეიძლებოდა, გამომძიებელი იმ სოფელში ჩასულიყო, იქ გამხდარიყო ცუდად და რადგან საბუთები არ ჰქონდა, ვერავინ გაიგო, ვინ იყო და რა უნდოდა. თანაც, ის სოფლები ქალაქთან ახლოს იყო და ამიტომ, ვერსია, რომ გამომძიებელი საბუთების გარეშე, სწორედ იქ წავიდა, სულ უფრო ძლიერდებოდა.

პირველმა სოფელმა სამართალდამცავებს ვერაფერი მისცა, უცხო კაცის შესახებ იქ არავინ არაფერი იცოდა. ვერც მეორე სოფლიდან გაიგეს რამე, მესამე და მეოთხეც ამაოდ მოიარეს და დარჩა ორი სოფელი, რომლის გადამოწმებაც მეორე დღისთვის გადაწყდა. მეორე დილით, ორი ოპერჯგუფი გავიდა სოფლებში და გამომძიებელი ფოტოთი პატარა სოფლის მაღაზიის გამყიდველმა იცნო, კი, ნაამდვილად იყო ეს კაცი მოსული, აფთიაქს ეძებდა, მაგრამ სოფელში აფთიაქი არ გვაქვს და „ვალიდოლი“ მე მივეცი, გული ჰქონდა ცუდადო, თუმცა მან მეეტი არაფერი იცოდა, კაცმა წამალი ენის ქვეშ ამოიდო და გავიდაო.

სამართალდამცავებმა სოფლის რწმუნებული მოიკითხეს და მან არაფერი იცოდა. სამაგიეროდ, დაპირდა, ყველა ქალის სიას მოგიტანთ, ვინც იმ წელს იმშობიარა, რომელ წელსაც ნაშვილები ბავშვი გაჩნდაო. სია მართლა საინტერესო იქნებოდა, იქნებ, ინიციალები დამთხვეოდა რომელიმეს და რაც მთავარია, იქნებ, ყოფილიყო ისეთი ქალი, ვინც იმშობიარა და ბავშვი არ ჰყავდა. სოფლის რწმუნებულმა სია საღამოს მოიტანა და ისიც თქვა, ჩვენთან, სავარაუდოდ, ტყუილად ეძებთ, რადგან ყველა ბავშვი, ვინც იმ წელს გაჩნდა, სოფელშია, მშობლებთან, მხოლოდ ერთი აკლია, მაგრამ ის ერთიც მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა, აქვე დამარხეს და ამის მოწმეც მთელი სოფელიაო. სოფლის რწმუნებულის დაბეჯითებითი არგუმენტების მიუხედავად, სამართალდამცავებს ეჭვი გაუჩნდაათ, რომ ისინი სწორ კვალზე იყვნენ, რადგან მაისურზე არსებული ინიციალები დედისას ემთხვეოდა. დაკითხეს დედა, რომელმაც ბავშვის გარდაცვალება დაადასტურა.

„მართალია, ბავშვი ქორწინების გარეშე გავაჩინე, მაგრამ მსურდა, გამეზარდა, თუმცა დაბადებიდან ორ საათში მითხრეს, რომ გარდაიცვალა. მერე ჩვილის ცხედარიც მაჩვენეს, უბრალოდ, თვალი მოვკარი, არ მინდოდა დიდხანს მეყურებინა და აქვე დავასაფლავეთ. დედაჩემმა ითავა ყველაფერი, უმამოდ გაზრდილი ვარ, მამალი ქალია, იმან გადამატანინა ეს ტრაგედია. რაც შეეხება უცხო კაცს, ნამდვილად არ მინახავს“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებლები იმ სამშობიაროში წავიდნენ, სადაც ბავშვი დაიბადა და ექიმები გვარიანად აჯანჯღარეს, თუ სიმართლეს არ იტყვით, ბოლომდე მაინც გავალთ, ჩვენს კოლეგას ვეძებთ და იმას რომ რამე დაემართოს, ადგილზე ჩაგცხრილავთო. ექიმებმა მხრები აიჩეჩეს, ბავშვის გაშვილების შესახებ არ ვიცითო, მაგრამ ბებიაქალმა დააღო პირი.

„მახსოვს ეგ ბავშვი. აქ, სხვა საავადმყოფოდან გადმოიყვანეს ბავშვი, ჟანგბადის ბალიში აქ გვქონდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და მგონი, ისიც უპატრონო იყო, ისე დატოვეს. მერე, ეს რომ დაიბადა, ბავშვის ბებიამ შეცვალა, ის ბავშვი კიდევ წაიყვანაა. არ ვიცი, გაყიდა თუ ისე მისცა სხვას, მაგრამ შვილი დააჯერა, რომ ბავშვი მოკვდა და გოგოსაც მერე აღარ უძებნია“, – განაცხადა ბებიაქალმა.

სამართალდამცავები დედის დასაკითხად კი არა, დასაკავებლად წავიდნენ და... მის სახლში, უგონო მდგომარეობაში მყოფი გამომძიებელი იპოვეს.

„შვილი ქმრის გარშე გავაჩინე ანუ ზუსტად ვიცოდი, რას ნიშნავდა ბავშვის უმამოდ გაზრდა. შვილი აბორტზე ვერ დავითანხმე და ბავშვი უბრალოდ მოვაშორე. ყველაფერი თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ეს კაცი გამოჩნდა, მივხვდი, კვალს მოაგნო და როცა ვუთხარი, იმ ბავშვის ბებია ვარ-მეთქი, ცუდად გახდა, მანამდეც არ გამოიყურებოდა ჯანმრთელად. განათლეებით მედიკოსი ვარ, გადასხმის აპარატი დავუდგი, წამლებიც მივაშველე. უგონოდ კი არის, მაგრამ აზრზე მოდის ხოლმე და ვიცი, გადარჩება. მინდოდა გამეგო, რა იცოდა და დაჭერას ხომ არ მიპირებდა“, -განაცხადა ბავშვის ბებიამ.

მართალია, ძალოვნებმა გამომძიებელი იპოვეს და მისი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ მას მარჯვენა ხელი პრაქტიკულად წაერთვა. რაც შეეხება ბავშვს, როგორც კი დედამ გაიგო, რომ შვილი ჰყავდა, სასამართლო დავა წამოიწყო მის დასაბრუნებლად.

„მემუქრებიან, მაგრამ არ მეშინია“



როგორ „გაპრანკა“ სასიძოს არასრულწლოვანმა ძმამ ბიზნესმენი ქალი

ბათო ჯაფარიძე

„ქალიშვილობა ლათინური სიტყვაა და ქართულად, გათხოვებას ნიშნავს“ – ამ ფრაზას ხუმრობით ბევრისგან გაიგონებთ, მაგრამ რეალურად, საქართველოში „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ აქტუალობას არ კარგავს. არიან ოჯახები, რომლებიც კაატეგორიულად სთხოვენ ბიჭებს, რომ ცოლად აუცილებლად ქალიშვილი მოიყვანონ. ბევრი ამას თხოვნის გარეშეც ითავისებს და თუ გოგონა ქალიშვილი არ არის, მის ცოლად მოყვანას გამორიცხავს. არსებობს კატეგორია, რომლისთვისაც სულ ერთია, გოგო ქალიშვილი იქნება თუ ბავშვიანი და განათხოვარი – მთავარია, უყვარდეს. ჰო, სიყვარული გადაარჩენს სამყაროს, სიყვარული, მაგრამ ვაი, რომ ნამდვილი სიყვარული დღეს ძალიან იშვიათად გვხვდება...

„მემუქრებიან... ეს ჩემი კონკურენტები ცდილობენ დაშინებას, მაგრამ მე არ მეშინია“, – პოლიციის განყოფილებაში „მამალი ქალი“ მივიდა და გამომძიებლის მაგიდაზე ნახატი დადო, რომელზეც აალებული მანქანა იყო გამოსახული და აშკარად ეტყობოდა, მხატვარმა თავის საქმე კარგად იცოდა. ქალი ცოტა დამშვიდდა და მერე უფრო დალაგებულად დაიწყო მოყოლა, – **„ჩემი სამშენებლო კომპანია მაქვს, ახლა ტენდერი გამოცხადდა, რომლის მოგებასაც ვგეგმავ და მგონია, რომ სწორედ კონკურენტებმა გადაწყვიტეს ჩემი დაშინება. ეს ნახატი დღეს, მანქანის საბარგულზე დამხვდა, ზედ ქვა ედო. ამით მიმანიშნეს, რომ ავტომობილს დამიწვავენ, მაგრამ მე არ მეშინია, თუმცა მინდა, რომ დამნაშავე მკაცრად დასაჯოთ“...**

რაღა თქმა უნდა, საქმე აღიძრა და პირველ რიგში, სამართალდამცავებმა დაზარალებულს იმ კომპანიების სახელები ჩამოაწერინეს, რომლებიც მისი აზრით, კონკურენტად განიხილავდნენ და რომელთა ხელმძღვანელობასაც შეეძლო, ეს აქტი ჩაედინა, ან მისი ჩადენა ვინმესთვის დაევალებინა. ქალმა სამი კომპანია ჩამოწერა და ძალოვნები სამივეგან წავიდნენ.

„რაო? კონკურენტი ვარ და ჩემი ეშინიათო? მაგას სამშენებლო ბიზნესში სერიოზულ მეტოქედ არავინ აღიქვამს, მით უმეტეს, ახლა, ამ კონკრეტულ ტენდერზე დაშინება ვის რაში სჭირდება? ტენდერის პირობები ისეთია, შუაზე რომ გასკდეს, მონაწილეობასაც კი ვერ მიიღებს, რადგან არც სათანადო გამოცდილება აქვს, რაც ტენდერის პირობებით არის მოთხოვნილი და არც პირველი ეტაპის დასრულებისთვის საჭირო თანხა უდევს ანგარიშზე. შეიძლება, მას ძალიან უნდა, რომ სერიოზულ კონკურენტად აღვიქვათ, მაგრამ ამ საქმიდან, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ნამდვილად არაფერი გამოვა. მას შეუძლია, იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვიშალოს ნერვები, როცა იმ ტერიტორიის ყიდვას ცდილობს, რომელზეც თვალი ჩვენ გვაქვს დადგმული და არარეალურ თანხებს იხდის. ზოგადად, არაა სამშენებლო ბიზნესი მაგის საქმე, მაგრამ არ ეშვება“, – სამივე კომპანიის მეპატრონემ თითქმის ერთი და იგივე რამ თქვა.

მართლაც, გამომძიებლებმა სატენდერო პირობებს ჩახედეს და ქალის კომპანია, იქ მოთხოვნილი პირობების გამო, მონაწილეობას ვერ მოახერხებდა.

„თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩემი საქმრო მატყუებს? საბუთები სწორედ მას მივაბარე და მითხრა, რომ ყველაფერი რიგზეა. მეტიც, გარანტია მაქვს, რომ ტენდერს აუცილებლად მოვიგებ და ამაზე სწორედ ჩემი საქმრო იზრუნებს“, – თქვა ქალმა და საქმროს სახელი და გვარი ამაყად დაასახელა, აქაოდა, ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელიაო.

სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და ის კაცი აღნიშნულ საწარმოში მართლაც მუშაობდა, ოღონდ ხელმძღვანელად კი არა, მემანქანედ და რაც მთავარია, ცოლ-შვილი ჰყავდა. ცოლიც იმავე საამქროში მუშაობდა და ამიტომ, ძალოვნებმა თანამშრომლები გამოჰკითხეს ფრთხილად. ბიზნესმენი ქალის „საქმროს“ ცოლის დაქალმა თქვა, რომ ბოლო ნახევარი წელია, კაცი თანაკლასელს უვლის, რომელიც ავარიის შემდეგ, ეტლში ჩაჯდა და არაფრის გაკეთება შეუძლია. ის ყველამ მიატოვა და ახლა მხოლოდ ამ კაცის იმედადაა. მეტიც, გარდა იმისა, რომ უვლის, ხანდახან ღამით მასთანაც რჩებაო. პოლიციამ ისიც გაარკვია, რომ მემანქანის თანაკლასელი ავარიაში მართლაც მოჰყვა, ეტლშიც მართლა ჩაჯდა, მაგრამ მას ოჯახი უვლიდა და ეს თანაკლასელი, რომელიც მის პატრონობას იბრალებდა, ბოლო პერიოდში თვალითაც არ ჰყავდა ნანახი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კაცი ცოლს ატყუებდა, თანაკლასელთან ვრჩებიო და ბიზნესმენ ქალთან რჩებოდა, აი, „ბიზნესვუმენს“ რას ეუბნებოდა, ყოველდღე რატომ ვერ ვრჩებიო, ეგ იყო საინტერესო.

„როგორ, თუ რატომ? დედა ჰყავს ავად და იმას პატრონობს. ჯერჯერობით, მაგიტომ ვერ ვქორწინდებით, თორემ უკვე ყველაფერი გარკვეული გვაქვს“, – თქვა „ბიზნესვუმენმა“, მაგრამ ისიც დაადასტურა, რომ მომავალი სადედამთილო ნანახი არ ჰყავდა.

სამართალდამცავებმა მამაკაცი მკაცრად დაკითხეს, ისიც ჰკითხეს, ქალს რატომ ატყუებ, რომ ტენდერს მოიგებ, წესით, შენგან საბუთებიც კი არ უნდა მიიღონო და... როგორც გაირკვა, კაცმა ბიზნესმეგობარს ფული გამოართვა, აქაოდა, ქრთამი უნდა მივცე, ტენდერი რომ მოვიგოთო და იმ ქრთამით... ბინის გარემონტებას აპირებდა. მუქარასა და ნახატზე კაცმა არაფერი იცოდა, ის ფული დააბრუნებინეს და... სწორედ წვრილშვილის გამო, მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრეს, თუმცა ბიზნესმენი ქალი გადაირია, გამოდის, ცხვირწინ მოღალატე მყავდა და ვერ მივხვდიო. მთავარი კითხვა კი, ვის სურდა ქალის დაშინება, კვლავ პასუხგაუცემელი რჩებოდა.

„ერთი შვილი მყავს, სამედიცინოზე სწავლობს და რომ დაამთავრებს, აუცილებლად მაგისტრატურაში გააგრძელებს სწავლას. მერე გათხოვებაზეც შეიძლება ფიქრი. აბა, რა გითხრათ, სხვა მტერს, კონკურენტების გარდა, უბრალოდ, ვერ ვიხსენებ“, – ქალი უკვე თავადაც დაფიქრებული ჩანდა.

სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ დაზარალებულის ქალიშვილს შეყვარებული ჰყავდა, რომელსაც მომავალი სიდედრი არ სწყალობდა, აქაოდა, ჩემს სტატუსს არ შეეფერება, მათხოვარიაო.

„ჩემი საქმროც სამედიცინოზე სწავლობდა, მაგრამ სწავლას თავი იმიტომ დაანება, რომ მშობლები ავარიაში დაეღუპა, ბებია და 13 წლის ძმა შერჩა სარჩენად. ამიტომ, აკადემიური აიღო და ახლა მუშაობს. ბებიის პენსია ვერ ეყოფოდათ. დედაჩემი კი ამბობს, მაგ მათხოვარს სახლში არ შემოვუშვებო, თანაც უზარმაზარი ქორწილი უნდა გადაგიხადოო, ქმარს ქალიშვილი უნდა ჩაბარდე, რადგან მერე მოყვრებთან ვიამაყო, რომ უმწიკვლო გოგო გავზარდეო. მე კიდევ... მე, უბრალოდ, ეს ბიჭი მიყვარს, თანაც არ არის მათხოვარი, მამამისიც ექიმი იყო, ბაბუამისი კი არა მარტო საქართველოში, არამედ, საკავშირო მასშტაბით ცნობილი ექიმი იყო. მასაც ოჯახური ტრადიციის გაგრძელება სურდა, მაგრამ ჯერ არ გამოუვიდა, თუმცა აუცილებლად გამოუვა“.

ძალოვნებს ახალი ვერსია გაუჩნდათ. ხომ შეიძლებოდა, სასიდედროზე გაბრაზებულ ბიჭს ემოქმედა და მისი დაშინება გადაეწყვიტა? თუმცა, გადაამოწმეს და იმ დღეს ბიჭი ქალაქში არ იყო, სხვას კი, ასეთ რამეს არ დაავალებდა. მეტი ეჭვმიტანილი პრაქტიკულად აღარ იყო და სამართალდამცავები ხელის ჩაქნევას აპირებდნენ, როცა დაზარალებულის ქალიშვილმა კვლავ შეხვედრა ითხოვა და...

„არ ვიცი, როგორ ვთქვა, რანაირად ვთქვა, მაგრამ მე ორსულად ვარ, ბავშვს ველოდები, ხელიც მოწერილი მაქვს ჩემს შეყვარებულთან ჩუმად და ეს რომ დედამ გაიგოს, შეიძლება, მომკლას. თუ შეიძლება, მიმყევით და ვითომ შემთხვევით, საუბარში მინდა, რომ წამოგცდეთ ჯერ ის, რომ ხელი მაქვს მოწერილი, მერე კი ის, რომ შვილს ველოდები“, – სთხოვა გოგონამ გამომძიებელს. ისიც სიხარულით დათანხმდა და ყოველი შემთხვევისთვის, თანაშემწეც წაიყვანა.

„ქალბატონო, გამოგიტყდებით, რომ ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილად თქვენი სიძე გვყავდა, მაგრამ გავარკვიეთ, რომ იმ დღეს, ქალაქში არ იმყოფებოდა. ამიტომ, მისი მონაწილეობა ამ საქმეში გამოირიცხა“, – „გულუბრყვილოდ“ დაიწყო გამომძიებელმა, რაზეც „ბიზნესვუმენმა“ გააჩერა და უთხრა – „სიძე არა, ჩემი შტერი შვილის შეყვარებული, ასე უფრო მართებულია!“

„არა, ქალბატონო, ჩვენ საქმეს სიღრმისეულად ვსწავლობიდთ და თქვენს ქალიშვილს მასთან ხელი აქვს მოწერილი. პრინციპში, რაღა ქალიშვილს, ისიც გავიგეთ, რომ ისინი ბავშვს ელოდებიან და ასეთი ახალგაზრდული შეხედულების მიუხედავად, მალე ბებია გახდებით“, – „განავრცო“ თემა გამომძიებელმა და... ქალს გული წაუვიდა.

სანამ მას ასულიერებდნენ, გოგონას თავისი დაემართა, თუმცა აზრზე მოსულმა „ბიზნესვუმენმა“ ჯერ შვილს გახედა, მერე – გამომძიებელს და ჩუმად ჩაილაპარაკა: **„მე ისე მინდოდა, როგორც ვთვლიდი, რომ უკეთესი იქნებოდა. იყოს, როგორც არის, თუმცა იმედი მაქვს, ჩემი ფინანსებით შევძლებ ამ ადამიანების რჩენას და სიძე სამედიცინოზე სწავლას განაგრძობს“...**

ყველაფერი ინდური ფილმივით უნდა დასრულებულიყო, თუმცა გოგონამ საათს დახედა, ჩემი პატარა მაზლი მყავს გამოსაყვანი, სამხატვრო წრეზე დადის, ძალიან ნიჭიერი მხატვარიაო. გამომძიებელმა ყურები ცქვიტა და გოგონას გაყოლა შესთავაზა. როცა ბავშვმა ძალოვანი დაინახა, ცოტა დაიძაბა, მაგრამ მან ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და ჩუმად უთხრა – სხვა დროს თუ არ იზამ, ახლა გაპატიებთო და მანაც უხმოდ დაუქნია თავი. აშკარა იყო, ძმის დაცვას ცდილობდა და ბავშვური ჭკუით რაც მიიფიქრა, ეს იყო.

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე მედიცინა, პრაქტიკულად, არ ცდება. უფრო ზუსტად, შანსი, რომ მაღალტექნოლოგიურ საავადმყოფოში არასწორი დიაგნოზი დაისვას, ძალიან მცირეა. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით მძიმე დიაგნოზის შემთხვევაში, პაციენტები უკანასკნელ შანსს ებღაუჭებიან და კვლევას სხვა კლინიკებში გადიან. მერე ისე ხდება, რომ დიაგნოზი ხან დასტურდება, ხან – არა. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ერთი შეხედვით, მაღალ ტექნოლოგიეებთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ეს, ერთი შეხედვით...

განხეთქილების... ლიფი

რა ავანტიურაზე წავიდა ცნობილი ბიზნესმენის საცოლე

50 წელს გადაცილებული კაცი პოლიციის განყოფილებაში მივიდა და განაცხადა, რომ დახმარება სჭირდებოდა. მეტიც, მან თქვა, თუ გნებავთ, საქმეს ოფიციალურად ნუ აღძრავთ, ისე გამოიძიეთ და დაკარგულ დროსა და ენერგიას სრულად ავანაზღაურებ, არც 10 ათასი დოლარის გადახდა გამიჭირდება და არც – ორი ამდენისო. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, წარმოდგენა არ ჰქონდათ, რეალურად რა სურდა კაცს, მაგრამ პრემიალური თანხა ძალიან მომხიბვლელად ჩანდა. ამიტომ, ყურადღებით მოუსმინეს.

„ჩემი მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა. გოგონა მარტომ გავზარდე, ის ახლა 23 წლისაა, ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობს, საყვარელ საქმეს აკეთებს. მე კი ბიზნესი მაქვს და მაქვს ყველაფერი, რაც შეიძლება, ადამიანმა ინატროს – კარგი სახლი, აგარაკი, მანქანა... ვისვენებ, სადაც მინდა და როცა მინდა, ნებისმიერ ქვეყანაში მივდივარ, ნებისმიერ დროს. მოკლედ, არაფერი მიჭირს, მაგრამ... ჩემი შვილი ცალკე გადავიდა საცხოვრებლად და სახლში გამოვყრუვდი. ქალები როგორ არ მყოლია, მაგრამ წელიწადნახევრის წინ შევხვდი ქალს, რომელიც შემიყვარდა. თანაც, ჩემი შვილიც უკვე დიდია, მას დედინაცვალი არ მივუყვანე და მორალურად მის წინაშე მართალი ვარ. ჰოდა, ამ ქალის ცოლად მოყვანა მსურდა, რამდენიმე დღის წინ, რესტორანში დავპატიჟე, ხელი უნდა მეთხოვა, ბეჭედი მეჩუქებინა... მანქანაში მითხრა, სველი ხელსახოცი ხომ არ გაქვს, ხელების გაწმენდა მინდაო და მეც ვუთხარი, „ბარდაჩოკშია“, აიღე-მეთქი. იმანაც გამოაღო და იქიდან ლიფი გადმოვარდა. ისეთი ზომა იყო, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ქალს შეიძლება ასეთი დიდი მკერდი ჰქონოდა. ცხვირწინ ამიფრიალა, ეს რა არისო, მანქანა გამაჩერებინა, გადმოვიდა და წავიდა. დამიჯერეთ, დამნაშავე რომ ვიყო, აქ არ მოვიდოდი, წარმოდგენა არ მაქვს, სადან მოხვდა ის ლიფი მანქანაში და ვერც იმას ვხვდები, ვის შეიძლებოდა დაედო. ვცადე რამდენჯერმე მისვლა, ახსნა, დალაპარაკება, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. კატეგორიულ უარზეა, ასე მეუბნება, შენი აღარ მჯერაო. კარგი, გავიგე, რომ აღარ სჯერა, მაგრამ მე ხომ ზუსტად ვიცი, რომ არაფერ შუაში ვარ. მიშველეთ, დამეხმარეთ... ისეთ ასაკში ვარ, კიდევ ქალის დევნა რომ დავიწყო, არც ნერვები მაქვს და არც – სურვილი. ეს ის ქალია, რომელთან ერთადაც ცხოვრების გატარება მინდა. ყველაფრისთვის მზად ვარ“, – განაცხადა კაცმა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. საქმე თითქოს მარტივი ჩანდა, მაგრამ გაჯიუტებული ქალის ჭკუაზე მოყვანაც საკმაოდ დიდ ნებისყოფასა და ნერვებს მოითხოვდა. ახლა, მთავარი ის იყო, ლიფის ნამდვილი მეპატრონესთვის მიეგნოთ, მერე კი, ეგებ, ამოცანაც ამოეხსნათ. თანაც, პირველ რიგში, ეჭვი ბიზნესმენის შვილზე მიიტანეს. დიდი იყო იმის შანსი, რომ უკვე ზრდასრულ გოგოს არ სურდა, გარდაცვლილი დედის ადგილზე, სხვა ქალი ეხილა. მით უმტეს, რომ თურმე მან მამას რამდენჯერმე შესთავაზა, დამხმარე ქალი აიყვანე, სახლს დაალაგებს, სადილს გაგიკეეთებს ხოლმეო ანუ გოგონას არ სურდა, რომ მამას სახლში სხვა ქალი მიეყვანა და თანახმა მოსამსახურეზე იყო, თუმცა...

„გამორიცხულია, ეს ჩემს შვილს ექნა. საქმე ის გახლავთ, რომ ორი დღის წინ, რაღაც დოკუმენტს ვეძებდი, „ბარდაჩოკი“ ჩემი ხელით გადმოვალაგე, მერე უკან შევალაგე. რა ჯანდაბად შევდე სველი ხელსახოცი იქ, სულ სავარძელზე მიდევს ხოლმე. არადა, მანაც, სწორედ სველი ხელსახოცი მთხოვა... ჰოდა, მას შემდეგ, ჩემი ქალიშვილ არ მინახავს, მანქანაშიც არ მჯდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვერ შეინახავდა ლიფს. რაც შეეხება სხვებს... ამ ორ დღეში, მანქანაში რამდენიმე თანამშრომელი მეჯდა, მათგან მხოლოდ ორია ქალბატონი და ორივე უკან დასხდნენ, ხომ იცით, ეს თითქოს ერთგვარი ტრადიციაა, კაცთან თუ ზიხარ მანქანაში, უკან უნდა იუჯდე. ჰოდა, აბა რა გითხრათ, ვისზე მივიტანო ეჭვი“, – თავს აქნევდა ბიზნესმენი.

ამასობაში, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ აღმოჩენილი ნივთი სულ ახალი იყო ანუ ის არავის ეცვა. ეს კი უმარტივესი საფუძველი იყო იმისთვის, რომ ქალი მამაკაცს შერიგებოდა. ამიტომ, ძალოვნებმა ბიზნესმენს დაურეკეს, უთხრეს, ის ქალი როგორმე შენთან მოიყვანე, ისეთ რამეს ვანახებთ, დამშვიდდებაო. ბიზნესმენმაც პირობა დადო და საღამოს შინ საყვარელი ქალი სამართალდამცავებთან ერთად შეიპატიჟა. ქალი ყურადღებით გაეცნო ექსპერტიზის დასკვნას, გაეღიმა, კაცს სიყვარულით გახედა და... ამ დროს კარზე დააკაკუნეს. რაღა თქმა უნდა, კარი მასპინძელმა გააღო და მას კისერზე ახალგაზრდა გოგო ჩამოეკიდა, როგორ მომენატრე, რატომ არ დამირეკეო. მოსულმა კაცს ჯერ ყელში აკოცა, მერე კი, გახდა დაიწყო, თითქოს სხვებს ვერც ამჩნევსო, მაგრამ, მერე „შეამჩნია“, ნახევრად ახდილი მაისური ისევ ჩაიცვა და საძინებლისკენ გაცუნცულდა, იქ დაგელოდები, სტუმრები მალე გაუშვიო. ამ სცენას ყველა გაოცებული უყურებდა – მასპინძელიც, ქალიც და სამართალდამცავებიც.

რა თქმა უნდა, „შემორიგებული“ ქალი მაშინვე კარში გავარდა, ცოტა ხანში, საძინებლიდან გამოვიდა და კიბეს დაუყვა ახალგაზრდა გოგოც, რომელმაც თვალების ფახულით თქვა, მგონი, კარი შემეშალაო, ბიზნესმენს კი კვლავ შოკი ჰქონდა, წარმოდგენა არ მაქვს, ეს გოგო ვინ იყო, შვილს გეფიცებით, პირველად ვხედავო. ამის გარკვევა რთული არ იყო, ძალოვნები გოგონას დაედევნენ და სადარბაზოსთან ახლოს დააკავეს, იქვე უთხრეს, თუ არ იტყვი, რა ხდება, პირობას გაძლევთ, ციხეს გახეხინებთო (არადა, მუხლს ვერ მიუყენებდნენ). მანაც ტირილი დაიწყო, დაქალმა მთხოვა, მამაჩემს ვიღაც ქალის მოყვანა უნდა, ეგებ, დამეხმაროო და მეც დავეხმარეო. რაღა თქმა უნდა, დაქალი ბიზნესმენის ქალიშვილი იყო და დაკთხვაზე ამჯერად ის დაიბარეს, თუმცა...

„ვაღიარებ, ეს სცენა მე დავადგმევინე, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, ლიფი ვინ ჩაუგდო მანქანაში. ამასთან მართლა არ მაქვს შეხება და თუ გინდათ, ნუ დამიჯერებთ, არც კი მაინტერესებს, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ მიხარია, რომ ვიღაც მე დამეხმარა“, – განაცხადა გოგონამ. ბიზნესმენი საერთოდ დაიბნა, თურმე მას ეჭვი ჰქონდა, რომ ლიფის ჩადებაში, შესაძლოა, მისი გოგონა როგორღაც ყოფილიყო გარეული, რომელიმე თანამშრომლისთვის ეთხოვა, მაგრამ... ახლა მას მიახლოებითაც კი არ ჰქონდა წარმოდგენა, ვის შეიძლებოდა გაეკეთებინა ის, რაც გააკეთეს.

„ერთი თანამშრომელიც ვერ იტყვის, რომ ოდესმე რომელიმეს გავეარშიყე. ჩემი პრინციპია, სამსახურში არანაირი რომანი და არც მქონია არასდროს. ახლა ვფიქრობ და წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ვისაც ამ ქალთან ჩემი დაშორება აწყობდეს. შვილი გავიგე, მაგრამ მჯერა, ლიფი მას არ დაუდია“, – განაცხადა ბიზნესმენმა და ისიც დააყოლა, ახლა გავიხსენე და იმ დილით, როცა მანქანაში ჩავჯექი, „ბარდაჩოკი“ გადმოვხსენი, სუნამო ავიღე, დავისხი, უკან დავდე და იქ ლიფი არ ყოფილა, მერე კი, საყვარელ ქალს გავუარე და მის გარდა, მანქანაში არავინ მჯდარაო. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და არაფერი თქვეს. ნახევარ საათში, ისინი ბიზნესმენის რჩეულს დაადგნენ და მშვიდად ჰკითხეს, თუ კაცთან დაშორება გინდა, პირდაპირ უთხარი, ასეთი საქციელი რაში გჭირდებაო?

„პირველ მეუღლეს იმიტომ დავშორდი, რომ ექიმებმა მითხრეს, შვილი არასდროს მეყოლებოდა. ახლა კი, სამი თვის ფეხმძიმე ვარ და საქმროს, რომელიც ძალიან კარგი კაცია, ვკითხე, შვილი რომ გვეყოლოს, რას იტყვი-მეეთქი და გადაირია, რა დროს ჩვენი შვილია, ახლა მისი გაზრდის არც თავი მაქვს, არც – ნერვებიო. ეს კი, ჩემი ერთადერთი შანსია, დედა მერქვას. წასვლის მიზეზად რა უნდა მეთქვა? არც კი იცის, რომ ორსულად ვარ და რაც მთავარია, ექიმებმა მითხრეს, რომ ბავშვი 98.5%-ით „დაუნის სინდრომის“ მატარებელი იქნება. მე მზად ვარ ამისთვის, მე ეს ბავშვი მინდა“, – თქვა ქალმა და ტირილი დაიწყო.

სამართალდამცავები ბიზნესმენთან წავიდნენ და ყველაფერი უამბეს. ერთი თვის შემდეგ, ბიზნესმენმა მცირე მასშტაბების, მაგრამ მაინც ქორწილი გადაიხადა და საყვარელი ქალი ცოლად შეირთო. კიდევ ხუთი თვის შემდეგ, ქალმა ბიჭი გააჩინა და... მედიცინა შეცდა, ბავშვი სრულიად ჯანმრთელი დაიბადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით, 2003 წელს დაბადებული მ.დ. დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.დ.-მ, მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მობილიზებულ სამართალდამცველებს. კერძოდ, აქციის მიმდინარეობისას, იგი თავს დაესხა პოლიციელებს და ჯოხის დარტყმით სხეულის დაზიანება მიაყენა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე სამართალდამცველებმა მ.დ. დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებული ბექა ჯაიანი, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შერაცხადია

37 წლის ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული 26 წლის ბექა ჯაიანი, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შერაცხადია.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ დაზარალებულის ოჯახის ადვოკატმა, ლექსო სვიმონიშვილმა დაუდასტურა.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებით, ბექა ჯაიანი დანაშაულის ჩადენის მომენტში შეურაცხადი არ იყო.

ექსპერტიზის ჩასატარებლად, ჯაიანი, მოსამართლის განჩინების შემდეგ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში მოათავსეს.

ცნობისთვის, 37 წლის ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული 26 წლის ბექა ჯაიანი ქუთაისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ და „მ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც გენდერის ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

რატომ არ მოხდა აქციაზე დაკავებული 20 წლის მათე დევაძის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება – პროკურატურის განმარტება

პოლიციელებზე თავდასხმაში ბრალდებულ 20 წლის მათე დევიძის საქმის პროკურორი ანი ხუბეჯაშვილი განმარტავს, თუ რატომ არ მოხდა დაკავებულის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება, რომელიც 21 წელს მოუღწეველ პირთან შეიძლება გამოიყენონ.

როგორც პროკურორი განმარტავს, ბრალდების მხარემ, დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, დევიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

„ბრალდებისთვის დაცვის მხარეს რამე სახის შეღავათის გამოყენების მოთხოვნით არ მოუმართავს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი დაკავების გადაწყვეტილება მივიღეთ და დღევანდელ სასამართლო სხდომაზე მის მიმართ პატიმრობა მოვითხოვეთ, ვინაიდან მომეტებული რისკები არსებობდა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რა სახის ღონისძიება გამოვიყენოთ, ან უნდა დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, ან გამოყენებული იყოს თუ არა ალტერნატიული მექანიზმი, ეს საფრთხეების, დანაშაულის ხასიათით, ბრალდებულის პიროვნებით ფასდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მომეტებულად არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, მისი დაკავების გადაწყვეტილება იქნა მიღებული“, – განაცხადა ხუბეჯაშვილმა.

მისი განმარტებით, დაზიანების ხარისხი არაა კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი, ქმედება მძიმე კატეგორიისაა, რასაც ბრალდებულის ქმედება განსაზღვრავს. პროკურორის თქმითვე, სამი დაზარალებული პოლიციელიდან ორს – გიორგი ესტატიშვილსა და ბიძინა ჟამერაშვილს დაზიანება ხილულად გააჩნია და ის სამედიცინო ბარათშია ასახული.

ცნობისთვის, მათე დევიძე იმ 16 პირს შორისაა, რომლებიც სამართალდამცავებმა მელიქიშვილის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს, ადმინისტრაციული წესით დააკავეს. მას, სხვებთან ერთად, პოლიციელის დაუმორჩილებლობასა და წვრილმანი ხულიგნობის ჩადენას ედავებოდნენ, თუმცა 48-საათიანი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, როცა ის იზოლატორიდან უნდა გაეშვათ, მუხლი შეუცვალეს და ახლა გამოძიება უკვე სისხლის სამართლის შესაძლო დანაშაულის ჩადენისთვის მიმდინარეობს.

მათე დევიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინეს, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

პროკურატურამ აქციის მონაწილეს, რომელსაც პოლიციელებზე ჯოხით თავდასხმას ედავებიან, ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე გამართული აქციის მიმდინარეობისას, პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 19 ნოემბერს, დილის საათებში, თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე გამართული აქციის მიმდინარეობისას, ბრალდებულმა სამ პოლიციელს ხის ჯოხით სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული 21 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საგამოძიებო უწყება ვიდეო-კადრებსაც ავრცელებს, სადაც ჩანს, რომ კონკრეტული პირი პოლიციელების მისამართით ჯოხს რამდენჯერმე იქნევს.

ბუდუს მეცხრე გოლი და... კვარაცხელიას წასასვლელად ამგვადებენ

იტალიის სერია A-ს მე-13 ტურის ცენტრალური შეხვედრა „დიეგო მარადონაზე“ გაიმართა. „ნაპოლიმ“ „რომას“ უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით დაამარცხა, რის შემდეგაც, ქულათა მარაგი 29-მდე შეავსო და კვლავ ლიდერია. რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იყო ხვიჩა კვარაცხელია და თანაგუნდელთა შორის საუკეთესოც გახლდათ, თამაშს სწორედ ის ამწვავებდა, გოლიც მისი იერიშის შემდეგ გავიდა და... მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა 66-ე წუთზე შეცვალა, რაც ბევრს არ მოეწონა, თუმცა...

„გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლოს, კვარაცხელია გუნდიდან წავა, ამიტომ მწვრთნელს ახლა ერთი თავის ტკივილი აქვს – მის პოზიციაზე ვინმე უნდა იპოვოს. შესაბამისად, ქართველს ხშირად შეცვლის ხოლმე და სხვადასხვა ვარიანტებს მოსინჯავს. ხვიჩასთან „ნაპოლი“ კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს, რადგან მასში მსუყე თანხის მიღების იმედი აქვს და აუცილებლად გაყიდის“, – ასეთია იტალიელი ჟურნალისტების მოსაზრება.

მეორე ბუნდესლიგაში თავისი მეცხრე გოლი გაიტანა ბუდუ ზივზივაძემ და კიდევ ერთ ფეხბურთელთან ერთად, ბომბარდირთა დავაში 1-2 ადგილებს იყოფს. ბუდუს „კარლსრუემ“ კი მორიგი მატჩი მოიგო და ბუნდესლიგაში აღზევებისთვის სერიოზული პრეტენზია ექნება.

ვალენსიაში მომხდარი წყალდიდობის გამო, გიორგი მამარდაშვილის გუნდმა ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის ორი ტური გამოტოვა და გუნდი ქალაქის ცენტრალურ სტადიონს მხოლოდ გასულ უქმეებზე დაუბრუნდა მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო და რაღა თქმა უნდა, შავი სამკლავურებით გაგრძელდა. მამარდა კარს საიმედოდ იცავდა და მართალია, 2 გოლი გაუშვა, ურთულესი ბურთები მოიგერია, „ვალენსიამ“ კი „ბეტისი“ 4:2 დაამარცხა და მართალია, ჯერ ისევ გასავარდნ ზონაშია, მეტოქეებზე ორი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული.

მხოლოდ 11 წუთი ითამაშა გიორგი მიქაუტაძემ. მისი „ლიონი“ „რენს“ დაუზავდა და უვკე შეიძლება იმის თქმა, რომ ლიონელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ, თმცა ისევ შეგახსენებთ, რომ თუ ზაფხულში გუნდი 505 მილიონიან დავალიანებას არ დაფარავს, ლიგის საგზური კი არა, სადაც არის, იქიდანაც დააქვეითებენ.

ოთარ კიტეიშვილის „შტურმმა“ მორიგ ტურში მოწინააღმდეგეს ნამდვილი შტურმი მოუწყო და 7 უპასუხო გოლი გაუტანა. შვიდიდან ერთი, გუნდის კაპიტნის, კიტეიშვილის პასით გავიდა და ზოგადად, ოთო მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სტუმრად, „პლიმუთს“ დაუზავდა გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდი“. ქართველმა ნახევარმცველმა მოედანზე 74 წუთი გაატარა და აქტიურიც იყო, თუმცა მის ანგარიშზე საგოლე მოქმედება არ დაფიქსირებულა.

ვინ შეიძლება შეხვდეს საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრებს

B ჯგუფში დასარჩენად სომხეთს ვეთამაშებით

სამწუხაროდ, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა, ერთა ლიგაზე ჯგუფის მოგება ვერ მოახერხა, სტუმრად ჩეხეთთან დამარცხდა და საბოლოო ჯამში, მესამე ადგილზე გავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს გუნდს, B ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა, თუმცა ახლა, უფრო საინტერესო 13 დეკემბერს გასამართი წილისყრაა. საქართველოს ნაკრებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ბრძოლა კიდევ შეუძლია, ამჯერად, საკვალიფიკაციო ეტაპიდან, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ერთა ლიგისგან განსხვავებით, აქ ბევრად სერიოზული მეტოქეები გვეყოლება. მანამდე კი, ის ვთქვათ, რომ B-ჯგუფში დასარჩენ მატჩში ჩვენი მეტოქე სომხეთის ეროვნული გუნდი იქნება.

სომხებს წილისყრის შდეგი არ მოეწონათ, აქაოდა, ყველაზე რთული მეტოქე გვერგოო, თუმცა, დაგვეთანხმეთ, რომ ქართულ-სომხური დაპირისპირება ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. სომხეთს 2025 წლის 20 მარტს ვსტუმრობთ, 3 დღეში კი, 23 მარტს, თბილისში ვმასპინძლობთ და ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვებული B-ჯგუფში იასპარეზებს. ჰო, დისკვალიფიკაციის გამო, პირველ შეხვედრაში ჩვენს ნაკრებს კაპიტანი გურამ კაშია და ლიდერი, ხვიჩა კვარაცხელია ვერ დაეხმარება.

აი, მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა კი 13 დეკემბერს გაიმართება და საქართველო მესამე კალათაშია განთესილი. შესაბამისად, ერთი მეტოქე პირველი კალათიდან შეგვხვდება, მეორე – მეორე კალათიდან, მესამე კალათაში ჩვენ ვართ, მეოთხე კალათიდანაც გვეყოლება მეტოქე და ასე შეივსება ჯგუფი. მეხუთე კალათაშიც არიან ნაკრებები, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს, მარტში, პლეი-ოფის თამაშები უწევს, ჩვენი ნაკრები აუცილებლად 4-გუნდიან ჯგუფში მოხვდება. ასევე, გადაწყვეტილია, რომ მეორე კალათის ნაკრებები – შვედეთი, უელსი, პოლონეთი, რუმინეთი, ნორვეგია და ჩეხეთი, 5-გუნდიან ჯგუფებში იქნებიან ანუ მეორე კალათიდან ესენი არ შეგვხვდებიან. შესაბამისად, ჩვენი ნაკრების მეტოქე მეორე კალათიდან უკრაინა, თურქეთი, უნგრეთი, სერბეთი, საბერძნეთი ან სლოვაკეთი იქნება. მეოთხე კალათიდან კი, ჩვენ აუცილებლად ბულგარეთი, კოსოვო, ან სომხეთი შეგვხვდება, დანარჩენები 5-ნაკრებიან ჯგუფებში იასპარეზებენ. ახლა, კალათების მიხედვით განთესილ ნაკრებებს გაგაცნობთ და წილისყრამდე თავად შეაფასეთ, რომელი კალათიდან, რომელი მეტოქე გვაწყობს.

პირველი კალათა: საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, გერმანია, პორტუგალია, იტალია, ხორვატია, ბელგია, ავსტრია, დანია.

მეორე კალათა: თურქეთი, უკრაინა, სერბეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, საბერძნეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უელსი.

მესამე კალათა: საქართველო, სლოვენია, შოტლანდია, ბოსნია, ფინეთი, ირლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, ისლანდია, მონტენეგრო, ისრაელი, ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია.

მეოთხე კალათა: ლუქსემბურგი, ბულგარეთი, სომხეთი, ყაზახეთი, კოსოვო, ესტონეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი, ლიეტუვა, ფარერები, ლატვია, ბელორუსი.

მეხუთე კალათა: მოლდოვა, ანდორა, მალტა, გიბრალტარი, ლიხტენშტეინი, სან მარინო.

მარკოიშვილი „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელია



მას შემდეგ, რაც ფრანგულმა „მონაკომ“ მთავარი მწვრთნელი, საშა ობრადოვიჩი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ადგილი ვაკანტური იყო და აღნიშნული პოსტი გასულ კვირას, მანუჩარ მარკოიშვილს ჩააბარეს. საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, 2021 წლიდან მუშაობს მონაკოში, თუმცა ის აქამდე მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, ახლა კი, მთავარ კაცად დაინიშნა.

„მართალია, მარკოიშვილი ახალგაზრდა სპეციალისტია, მაგრამ ზურგს უკვე დიდი გამოცდილება უმაგრებს და იმედი გვაქვს, რომ ის „მონაკოს“ ახალ სიმაღლეებზე აიყვანს“, – წერია გუნდის განცხადებაში.

საქართველო ევროპაა – 21-წლამდელების სასწაული

ალალად ვაღიაროთ – არავინ ელოდა, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფში ხორვატ თანატოლებს დაამარცხებდა და ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებდა. მით უმეტეს, პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც ქართველებმა 1:0 კი მოიგეს, მაგრამ, მეტოქემ ბოლო ნახევარი საათი 10 კაცით ითამაშა და ამის მიუხედავად, ხორვატები გვიტევდნენ, ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, ჩვენს გუნდს კი, მთავარ საფიქრალად 1:0-ის შენარჩუნება ჰქონდა.

ხორვატიაში გამართულ საპასუხო შეხვედრაში, მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ – მე-11 წუთზე შეაგდეს და თითქოს, ჩვენი რბევა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 28-ე წუთზე, გაგნიძემ ულამაზესი და უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა. მოკლედ, შეხვედრას სამჯერ ვაგებდით და საბოლო ჯამში, მატჩი 3:2 მორჩა და დამატებით დროშიც არაფერი შეიცვალა. აი, პენალტების სერიაში კი, ნამდვილი საფეხბურთო დრამა გათამაშდა. ჩვენებმა პირველივე თერთმეტმეტრიანი გააფუჭეს, მასპინძლებმა ოთხი გაიტანეს და გადამწყვეტი პენალტის შესასრულებლად მათი კაპიტანი მივიდა, თუმცა ლუკა ხარატიშვილმა თითქოს აუღებელი აიღო და ნერვების თამაში დაიწყო – ერთი გაცუდებული თერთმეტმეტრიანი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის დაკარგვას ნიშნავდა. მთელი მატჩი ისე მიდიოდა, რომ მას თავისი გმირი სჭირდებოდა და საბედნიეროდ, ეს გმირი ხარატიშვილი აღმოჩნდა – მან კიდევ ერთი პენალტი მოიგერია და ხორვატიაში ქართული ზეიმი დაიწყო.

გარდა იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა თავისთავად ძალიან პრესტიჟული და კარგია, ეს არის უდიდესი ბაზარი. სწორედ 21-წლამდელთა პირველობას ესწრება უამრავი სკაუტი იმის იმედად, რომ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს იპოვის და დიდ გუნდში წაიყვანს. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ბიჭებიდან, ახალ საფეხბურთო ეტაპს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, არაერთი დაიწყებს.

კალათბუთელები ევროპის ჩემპიონატთან ერთ ნაბიჯში არიან

გასულ უქმეებზე, საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა, ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე ორი შეხვედრა გამართა და ორივე ფინეთთან. 21 ნოემბერს ფინეთში ვითამაშეთ, 24-ში კი – საქართველოში.

ალალად ვთქვათ – როგორც პირველ, ისე მეორე შეხვედრაში, ჩვენმა ნაკრებმა საწყისი პერიოდი ჩააგდო და ორივე შემთხვევაში, პირველი ტაიმი წააგო. მეტიც, განსაკუთრებით ფინეთში ჩატარებული მატჩი ისე დავიწყეთ, გვეგონა, გავნადგურდებოდით, რადგან მეტოქე საწყის წუთებში 9-0-ს იგებდა, მაგრამ მერე... მერე ნაკრების კაპიტანმა, თორნიკე შენგელიამ აიღო თამაში საკუთარ თავზე და მეტოქეს შავი დღე აყარა. იგივე მოხდა თბილისშიც – საუკეთესო კვლავ შენგელია იყო და აშკარაა, რომ კაპიტანთან ერთად და მის გარეშე, საქართველოს ნაკრები ორი სხვადასხვა გუნდია.

ძალიან კარგია ისიც, რომ ნაკრებს ნატურალიზებული კალათბურთელი, კამალ ბოლდუინი საუცხოოდ მოეერგო და შენგელიას შემდეგ, როგორც ერთ, ისე მეორე შეხვედრაში, მოედანზე საუკეთესო იყო. ჯგუფში ორი შეხვედრის ჩატარებაღა დაგვრჩა და ორივეს მომავალ წელს გავმართავთ. 21 თებერვალს თბილისში დანიას ვხვდებით, 24 თებერვალს კი, სტუმრად სერბეთს. ჰოდა, თუ დანიაას მოვუგებთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზებთ და ეს ზედიზედ მეექვსე შემთხვევა იქნება, როცა საქართველო კონტინენტის მთავარ პირველობაზე გამოვა.

მამარდაშვილმა „ვალენსიას“ 900 ათასი ევრო აჩუქა

მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონაატზე თამაშის სანაცვლოდ, ის კლუბები, რომელთა წევრებიც ეროვნულ ნაკრებებში ასპარეზობენ, უეფასგან კომპენსაციას იღებენ. თანხის ოდენობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ სადამდე გავა მაათი წევრის ეროვნული გუნდი.

ჰოდა, ესპანური „ვალენსიას“ ანგარიშზე, უეფამ 900 ათასი ევრო გადარიცხა და ეს მთლიაანაად გიორგი მამარდაშვილის დამსახურებაა. 1992 წლის შემდეგ, პირველად მოხდა, რომ „ვალენსიას“ რიგებიდან, ესპანეთის ნაკრებში ერთი ფეხბურთელიც ვერ მოხვდა. არადა, გამოძახებული იყო ხოსე ლუის გაია და ის ვარჯიშებზე დაშავდა, რის გამოც, კონტინეენტის პირველობაზე ვერ იასპარეზა. სხვა ფეხბურთელებიდან კი, ევროპაზე მხოლოდ მამარდაშვილი გამოვიდა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფიდან გააღწია, „ვალენსიას“ კომპენსაციაც გაეზარდა და სადაც სამართალია, ამ თანხიდან, ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც მამარდაშვილის ანგარიშზე რომ გადარიცხონ „ღამურებმა“, ცუდი არ იქნება.

ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ჩურჩხელები!

ეკატერინე გაგაშვილი

მთელი ერთი თვეა, რაც ჩვენს სახლში მხოლოდ ეს სიტყვებიღა ისმის. მაშინ, როდესაც მამაკაცები მთელს დროს ქვევრების რეცხვას, საწნახელის გაწყობას, გოდრების წვნას, სართველოდ ვენახის გამოწმენდას ანდომებენ, დედაკაცები სულ ჩურჩხელების სამზადისში არიან. რვა ენკენისთვეს, კაკლის ბერტყვა დაიწყო, დედათქვენმა კრეფის დროსვე, საუკეთესო კაკლები გადაარჩია, დაკროლა, წენგოსაგან გასუფთავებული, დიდს ჭილობზედ გაგვაშლევინა, მზის გულზედ და თვითონ აივნიდგან, თვალმოუშორებლივ, ორი-სამი დღე უყარაულა.

– იქით, იქით, ონავარო, – ეუბნებოდა პატარა ნიკოს, რომელიც, წუწკ ციცუნიასავით ოთხზედ დამდგარი, ეპარებოდა კაკლებს.

– საჩურჩხელეა, საჩურჩხელე, არ მიეკარო, თორემ ხელებზედ გცემ.

– ხელი, ხელი არ ახლო, – სასტიკად შეუყვირა მზარეულს – გიგუას, რომელსაც ერთი-ორი კაკალი უნდა აეწაპნა ჩასაკნატუნებლად.

– განა, სხვა კაკალი არ მოიპოვება სახლში, რომ მაგას არ წაეტანო?! არ იცი, რომ საჩურჩხელეა?!

მესამე დღეს, საღამოზედ, ჩაის შემდეგ, ჭილობზედ შეგროვილი, გამშრალი კაკალი ქალბატონის ოთახში შევიტანეთ, გარს შემოვუსხედით, წინ ბრტყელი ქვები დავიწყეთ, ხელში – მრგვლები, და შევუდექით მტვრევას და რჩევას: მებაღის ცოლი მართა, იმისი ქალი ნუშკა, ჩვენი პატარა გოგო ანუა, ტარამანაანთ ნინუა და თქვენი მოსიყვარულე გამდელი თინათინა. ქალბატონი მაგიდასთან იჯდა და ჩვენს მიწვდენილს ქაღალდივით თეთრს ნიგოზს დიდ სინებზედ აგროვებდა.

მტვრევის დროს ვმღეროდით, ვიცინოდით, რძესავით გემრიელს ნიგოზს ვღეჭავდით და თან ვანგარიშობდით, თუ რამდენი ჩურჩხელა უნდა აგვესხა, რომ ყველას, ჩვენო ძვირფასებო, გყოფნოდათ და ჩვენთვის – სტუმარ-მასპინძლისათვისაც ბლომად დაგვრჩენოდა. ათ საათამდის ვიმუშავეთ, ათზედ კი ყველანი ჩავჩუმდით, თვალზედ რული მოგვეპარა, ხელების აღებ-დაღებას ვუკელით, ქვების რაკარუკი მიყუჩდა. ქალბატონმა დაღალულობა შეგვატყო და საქმეზედ ხელი აგვაღებინა.

– კმარა, კმარა დღეს, დანარჩენი ხვალ საღამოსთვის იყოს, – თქვა, სავსე ლანგრებს გაზეთის ფურცლები გადააფარა და განჯინაში შეაწყო.

დილით წუხანდელი დარჩეული ნიგოზი მზეზედ გავფინეთ. საღამოზედ კვლავ ვამტვრიეთ კაკალი. ქალბატონი კი თავისის ჯიბის დანით, დილით გამხმარს ნიგოზს საჩურჩხლედ სჭრიდა. ჩვენ კიდევ ვიცინოდით, ვმღეროდით, ვამტვრევდით, ვარჩევდით და ვღეჭავდით რძით სავსე ნიგოზს. ბევრჯერ მოგიგონეთ თქვენ: ვანო, ლადო, ნატო, კატო! საწყლებო, რამდენი წელიწადი აღარ მოსწრებიხართ რთველს, ჩურჩხელების გავლებას, ბროლივით თეთრის და შაქარივით ტკბილის თათარას წინწკლების ლოკვას ტაბაკებზედ!

რაღა ბევრი გავაგრძელო, მთელი ექვსი დღე ვასხამდით ჩურჩხელებს. ორი დღე მარტო თავდებები ვუკეთეთ მე და ქალბატონმა და მერე, ჯარივით ჩარახტული გრძელ სარზედ, მზეზედ ჩამოვკიდეთ. ახლა ნარკვევის რჩევას შევუდექით. მთელი სამი დღე ჩავკირკიტებდით ჭვავით სავსე ხორბალს და ძლივს ბოლო მოვუღეთ. ასე გარჩეული ხორბალი წისქვილში მე თვითონ ჩავიტანე.

ხვიმირა ჩემის ხელით ამოვწმინდე, იქაურობა დავგავ-დავწმინდე, რომ მტვერი არ მიჰკარებოდა საჩურჩხელე ხორბალს და ჩემის ხელითვე დავაყარე წისქვილს. მანამ ხორბალი ჩამოვიდოდა, წინდით ხელში იქვე, წისქვილის კარებში, ჩავჯექ და ყურს ვუგდებდი სარეკელას, ღარში დაქანებულის წყლის ჭრიალს, წისქვილის ქვის ერთგვარს გრიალს და იქვე ტომარაზედ მიყრდნობილს, ტკბილად მძინარე გოგიას. ხორბალი ჩამოვიდა, სიფრთხილით ავკრიფე თეთრს პარკში, თეთრი ფქვილი ჩემისვე ხელით შინ ამოვიტანე, დიდი სათათარე ქვაბები დავაკალვინეთ, ციცხვები დავფხიკეთ, ხონჩები დავარაკრაკეთ, ბადაგის გადასასხმელი ქილა-ხელადები ქვიშით დავხეხეთ და ასე გამზადებულნი მივეგებეთ რთველს, პირველს ღვინობისთვეს.

იჰ, რა სანეტაროა ეს რთველი! რა სიხარულს და კმაყოფილებას გრძნობს ყოველი ადამიანი! მეტადრე მოზარდი თაობაა ხოლმე გადარეული და თქვენ კი, ჩემო ჭრუკებო, აქ წიგნებში ხართ თავჩაღუნული. რთველი გაჩაღებული იყო. ქალები კალათებში კრეფდნენ ყურძენს, კაცები მოსაკიდებში აგროვებდნენ, მებაღეები საწნეხელისკენ ეზიდებოდნენ. ქალბატონი ვენახის ბოლოში, კაკალქვეშ, იჯდა და თეთრს დამკრახულს ყურძენს საჩურჩხელედ არჩევდა. საჩურჩხელე ცალკე ნავში დავწურეთ და მარნიდან პირდაპირ დიდის ქვაბებით ზედადგარზედ შემოვდგით.

საღამო ჟამი იყო, თბილი საღამო. მთვარე, ოდნავად ბურუსში გახვეული, მკრთალად ანათებდა სოფელს და ჩვენი სახლის კარ-მიდამოს, რომელიც სათათარავე ტკბილების ქვაბების ქვეშიდან აპრიალებული ცეცხლის შუქით იყო გაჩირაღდნებული. აქვე ქვებზედ, კიბეებზედ ვისხედით ჩვენ ყველანი და ქვაბების ადუღებას ველოდით. კარგა შუაღამე გადავიდა, საგრძნობლად აცივდა, როდესაც დუღილით დანახევრებული ქვაბები ცეცხლიდგან გადმოვდგით და წითლად დარაკრაკებულს ქილა-ხელადებში გადავასხით.

მეორე დღეს ადრიანად მობადაგებული ტკბილი, ქილებში დაწმენდილი, ნელ-ნელა, დიდის სიფრთხილით ისევ ქვაბებში გადავიღეთ, ისევ ცეცხლზედ შემოვდგით, გავაცხელეთ, ბადაგში გალესილი, მომზადებული ფქვილი ჩავასხით და ნიჩბებივით დიდის ციცხვებით ვიწყეთ რევა, ზელვა, თან ცეცხლს გამხმარი სარის შეშას ვუმატებდით. ერთს საათზედ თათარამ მოიწია. ბედს მადლობა მივუძღვენ, რომ კიდევ შემასწრო ამ ბედნიერ დღეს და პირველად ეს მთელ-მთელლებნიანი, გრძელი ჩურჩხელები ამოვავლე.

„ეს ჩემს მშვენიერს ვანოს, ეს ჩემ გონიერ ლადის, ეს დახატულს ნატოს, ეს დაბრძენებულს კატოს“, – ვამბობდი და ჩურჩხელებს ქალბატონის გამოწვდილი ხელის თითებზედ ვაცმევდი.

ქალბატონი აწოდებდა სარზე წამოსაცმელად ძალუათქვენს, ელისაბედს, ელისაბედი – მართას, მართა – თავისს ქალს ნუშკას, ნუშკა – გოგია მზარეულს, რომელიც გავსებულს სარებს წყნარად, სიფრთხილით, რომ ჩამოკონწიალებული ჩურჩხელები ერთმანეთს არ მიჰკარებოდა, წინადვე მომზადებულ ჯინჯიბახებზედ ჰკიდებდა. მშვენიერი ბრწყინვალე მზე იდგა, მკათათვესავით ცხელოდა. სწორედ საჩურჩხელე დარი იდგა. ქალბატონი პირზედ ღიმილით ამბობდა: თუ ასეთი დარი დაიჭირა, ერთ კვირაზე ჩურჩხელები ქალაქს გაიგზავნებაო. ხუთასი ჩურჩხელა გავავლეთ, ოცდაათი სარი გამწკრივებული ეკიდა ჯინჯიბახებზედ, ქალბატონს წელი ასტკივდა ქვაბთან დახრითა და დგომით, მე მარჯვენა მიცახცახებდა ციცხვის ქნევით, მაგრამ გათავებას არ ვჩქარობდით.

ლხინში ადამიანს ჭირი ყოველთვის ავიწყდება! ჩურჩხელებქვეშ გაყრილ სუფთა ხონჩებზედ მეზობელ გლეხთა გოგო-ბიჭები ჩურჩხელის წინწკლებს გაფაციცებით ლოკავდნენ; ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, სცემდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ, ნამდვილი დღესასწაული იყო...

მზე მიილულა და ქვაბების ძირებიც გამოჩნდა. ჩურჩხელებს მოვრჩით და ახლა გასქელებული თათარის დარიგებას მოვუნდით. ყველა მეზობელს, მოსამსახურეს, მუშებს თეფშებზედ თითო ციცხვი დავუგლისე. სამხრობა გადასული იყო, როდესაც დიდი ხნით მოკეცილი, ჯდომით დაბუხული ძლივსღა ამაყენეს, ქალბატონი, წელში გაწყვეტილი ფეხზე დგომით, ძლივსღა ავიდა აივანზედ. მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ მთელი დღე ნაყრი არ ჩასულა ჩვენს პირში და სადილის სამზადისს შეუდგა. ჯერ მუხლებში წყალი არ ჩაგვდგომოდა, ლუკმა ყელს არ ჩაგვცდენოდა, რომ ქარმა წამოისისინა, ჩურჩხელებმა რხევა დაიწყეს.

– არიქათ, არიქათ, მიეშველეთ ჩურჩხელებს, – დაგვიკიჟინა ქალბატონმა. – ქარი სულ ძირს დასცემს და ამდენი ხნის ამაგს მტვერში ამოგვივლებს. საჩქაროდ გავცვივდით, დიდი და პატარა სარების აკრეფას შევუდექით.

ნელ-ნელა ამოგვქონდა კიბეზედ და სასტუმრო ოთახში ორი მაგიდის შუა ვკიდებდით. მერე შემშრალი ჩურჩხელები სარის შუა წელზედ შევაგროვეთ და როცა ხუთასი ჩურჩხელა ერთს ალაგს შევაგროვეთ, ქალბატონმა დიდი ჯამით ბადაგი შემოიტანა და იატაკზედ დაჩოქილმა, თითო-თითოს ცალ-ცალკე ორივ ხელით ბადაგი ჩამოუსვა. მერე თეთრი სუფრა შემოახვია ჩურჩხელის გროვას, სუფრას ზემოდგან დიდი, თბილი შალი, და ასე შეფუთნული ჩურჩხელები კარდაკეტილში დავტოვეთ.

– სიფრთხილეს თავი არა სტკივა, სულმა არავის წასძლიოს, – სთქვა ქალბატონმა: – ხილს რომ პირი ჰქონდეს, თავის თავს თვითონვე შესჭამდაო, ნათქვამია.

მესამე დღეს, დილით, სუფრა შემოვხსენით და თეთრად შეშაქრული ჩურჩხელები კვალვ გავწი-გამოვწიეთ სარებზედ და ჯინჯიბახებზედ გავიტანეთ. ასე შეგვქონდა და გაგვქონდა მთელი ერთი კვირა. ქარი, ღრუბელი გულს გვიხეთქავდა და ყოველს წამს თავს დავტრიალებდით. მერვე დღეს, სარებს დავაძრეთ ჩურჩხელები, ქალბატონმა თავდებები დააჭრა, ჩურჩხელები გაანაწილა და საოჯახო ნაწილი იმ დიდს წითელს სკივრში ჩააალაგა, რომელსაც თქვენ ყველანი კარგად იცნობთ და რომელიც ნოეს კიდობანივით ყოველთვის სავსეა თქვენთვის ტკბილეულის სასუსნავით. თქვენთვის გადაწყობილი კი ცალ-ცალკე, თეთრ პარკებში ამოკერა და, აი, ჩემი ხელით გაახლათ. მიირთვით და შეექეცით, კეთილად შეგარგოთ, მრავალს რთველს და მოსავლის შეკრებას შეგასწროთ, სწავლა მალე დაგასრულებინოთ და პირადად თქვენ თვითონ შეგაძლებინოთ ამ მძიმე, მაგრამ ქართულის ოჯახის სამხიარულო და სახალისო საქმის გაწყობა, სოფელი არ დაგავიწყოთ და მისი საქმე და ჩვეულება გულში ჩაგინერგოთ!..

... ასე გაგვახარა ჩვენმა გამდელმა, ბებერმა თინამ, თეთრი, დაშაქრული ჩურჩხელებით – ცალკე და ჩურჩხელების მძიმე სამზადისის მოთხრობით – ცალკე.

ტკბილეულის პირველი მუზეუმი გაიხსნა

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში, მსოფლიოში პირველი ტკბილეულობის მუზეუმი გაიხსნა. ეს უნიკალური ატრაქციონია ყველა ასაკის ადამიანისთვის და ტკბილი სიურპრიზებით არის სავსე. მნახველები მუზეუმში ნახავენ შაქარყინულების ტყეს, ბამბის ნაყინის ღრუბლებს, შოკოლადის შადრევნებს, ტკბილ ქანდაკებებს, მარმელადის დათუნიებით სავსე აუზსა და ბევრ სხვა რამეს. გარდა ამისა, მუზეუმი მნახველებს სხვა ინტერაქტიურ შთაბეჭდილებებსაც ჰპირდება. საკონდიტრო Candy Lab-ში, ტკბილეულის მოსამზადებლად, სტუმრები ექსპერიმენტების ჩატარებას შეძლებენ. მუზეუმში ექსკურსია, დაახლოებით, ერთ საათს გრძელდება. ბილეთის ღირებულება 109 დირჰამია (დაახლოებით, 30 დოლარი) – უფროსებისთვის, ბავშვებისთვის კი – 99 (27 დოლარი).

ომის შიშით, ბრიტანელები ბუნკერებს ყიდულობენ

ნისლიან ალბიონზე, ადგილობრივები მასობრივად ყიდულობენ ბუნკერებს და მათ საკუთარი ხელით აწყობენ. მიზეზი – მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების შიშია. ბირთვული ბუნკერები, რომლებიც ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დროს აშენდა, დიდად მოთხოვნადი გახდა ბრიტანელებში. ბუნკერები, რომლებიც ბაღში უნდა ჩამარხო, ინტერნეტში თითქმის 10 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდება. სპეციალიზებული კომპანიები მზად არიან, მსურველს უკვე დასრულებული, ასაწყობი პროდუქცია დაუმზადონ, იქიდან გამომდინარე, რომ სამეფოში ახლა მათზე დიდი მოთხოვნაა. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დაცვის ცალკე საშუალებებია მომზადებული. ასეთ ბუნკერებში არის ტუალეტი და ოთახი, სადაც ადამიანები ბირთვული აფეთქების გადავლას დაელოდებიან. ფასები ამ კონსტრუქციებზე ორ-სამჯერ გაზრდილია. უკრაინაში ომის დაწყებიდან ექვს თვეში, კომპანიამ, რომელიც ბუნკერებზე მუშაობს, ადგილობრივებისგან 3 300 შეკვეთა მიიღო.

აქონდროპლაზიის სამკურნალო აბები შექმნეს

ავსტრალიელმა სპეციალისტებმა, მერდოკის სამეცნიერი-კვლევითი ცენტრიდან, შეიმუშავეს აბი სიმაღლეში ზდრის სტიმულაციისა და აქონდროპლაზიის სამკურნალოდ. კვლევა სამეცნიერო ჟურნალ New England Journal of Medicine (NEJM)-ში გამოქვეყნდა. აქონდროპლაზია – გენეტიკური დაავადებაა, რომელიც იწვევს სერიოზულ სამედიცინო გართულებას, როგორიც არის ზურგის ტვინის კომპრესია, ძილის აპნოე, ფეხების გამრუდება, ყურის ინფექციები. აქონდროპლაზიით დაავადებული ბავშვები, ჯანმრთელებთან შედარებით, 50-ჯერ უფრო ხშირად ვერ აღწევენ ხუთი წლის ასაკამდე. ექსპერიმენტულ პრეპარატს „ინფიგრატინიბი“ უწოდეს. კვლევებისას დადგინდა, რომ ეს საშუალება ეფექტურია აქონდროპლაზიისას, სამიდან 11 წლამდე ასაკში. ექსპერიმენტებში 72 დაავადებული ბავშვი მონაწილეობდა ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და კანადიდან. შედეგებით დადგინდა, რომ წამალმა ზრდის ტემპები გაზარდა წელიწადში 2.5 სანტიმეტრით. პაციენტებს მკურნალობისას უმნიშვნელიო გვერდითი მოვლენები აღენიშნებოდათ. მკვლევართა თქმით, ახალი პრეპარატი, შესაძლოა, ყოველდღიური ინექციების ალტერნატივა გახდეს, რომელიც დღეს აქონდროპლაზიის თერაპიის ერთადერთი მეთოდია.

ჩინელები ყურებს იდიდებენ

ჩინეთში, ბოლო დროს, უჩვეულო მოდური ტრენდი გაჩნდა, რომლის მიხედვითაც გოგონებმა ყურების გადიდება დაიწყეს. ამ ყველაფერს კი საფუძველი ბლოგერმა ჩენ ცზიანანმა ჩაუყარა. რა უცნაურიც უნდა იყოს, ტრენდი მალევე გახდა პოპულარული. მოდის მიმდევრებმა ხელოვნური ყურების დაწებება დაიწყეს, ზოგიერთი კი ამას არ სჯერდება და სპეციალისტებთან მიდის შესაბამისი ოპერაციის ჩასატარებლად. ჩინელებს მიაჩნიათ, რომ უზარმაზარი ყურების გამო, სახე უფრო მოხდენილი ჩანს.

ქორწილებს McDonald's-ში იხდიან

ერთმა ჩინელმა წყვილმა, ცოტა ხნის წინ, ქორწილი სწორედ ამ სწრაფი კვების ობიექტში აღნიშნა. ცერემონიაზე არ იყო არც ლიმუზინები, არც მდიდრული ბანკეტი. საქორწინო ბეჭდები „კარტოფილი-ფრის" ყუთში იყო დამალული, წვეულების სტუმრებმა კი საჭმელად „ჰეფი მილი" მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ასეთი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი დღე სწრაფი კვების ობიექტში ან კარაოკე-ბარში აღინიშნა. როგორც ჩანს, ესეც ახალ მოდად ყალიბდება, რადგან საქმე ეხება ფინანსებს და იმას, რომ ახალგაზრდობა დაიღალა ტრადიციული ცერემონიებისგან. სოციალურ ქსელებში გაჩნდა ჰეშთეგიც – „ქორწილი სამი რამის გარეშე – ლიმუზინების, პატარძლის ხელისმომკიდეებისა და ტრადიციული გამოსყიდვის გარეშე". ახალგაზრდობა ირჩევს ასეთ მარტივ ვარიანტებს, რადგან ისინი უფრო ხელმისაწვდომია და ნაკლებად დამღლელი. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში, გასულ წელს, საშუალო ქორწილის ღირებულება, დაახლოებით, 45 ათას დოლარს აღწევდა. ამის გამო, ბევრი ახალგაზრდა წყვილი სადღესასწაულო ცერემონიაზე უარს ამბობდა. პოპულარული ქსელები კი, როგორებიც არიან – McDonald's და Haidilao, მომხმარებლებს იაფ საქორწინო პაკეტებს სთავაზობენ – ღირებულება, სულ რაღაც, 11 დოლარიდან იწყება.

ბანანი 6 მილიონად გაიყიდა



იტალიელი მხატვრის, მაურიციო კატელანის პროვოკაციული „ხელოვნების ნიმუში" – ინსტალაცია „კომიკოსი", რომელიც კედელზე სკოჩით აკრულ ბანანს წარმოადგენდა, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონის სახლის, Sotheby's-ის ვაჭრობაზე 6.2 მილიონ დოლარად გაიყიდა. ლოტის წინასწარი ღირებულება 1-1.5 მილიონ დოლარს შეადგენდა. მისი ახალი მფლობელი ჩინელი კრიპტოვალუტის მეწარმე, ჯასტინ სანია. ინფორმაცია სოციალურ ქსელში მან თავადვე გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში, ბანანის შეჭმას გეგმავს. კატელანისთვის ეს უკვე მეოთხე „კედელზე მიკრული ბანანი" იყო. პირველი ორი „ნამუშევარი" მან წარმატებით გაყიდა, ღირებულება კი 120-დან 150 ათას დოლარამდე მერყეობდა. მესამე „შედევრის" გაყიდვაში ხელი მას ქართველმა მხატვარმა შეუშალა – გახსოვთ, ალბათ, ის 2019 წელს, დევიდ დათუნამ შეუჭამა. მისი თქმით, ასეთი პროექტები საღ აზრს არის მოკლებული და არ შეიძლება, ბანანი ასეთ ფასად იყიდებოდეს. New York Times-ის ცნობით, კატელანის ბანანი, შესაძლოა, ყველაზე ძვირად გაყიდული ხილი იყოს. არადა, ის ვაჭრობის დღეს, სულ რაღაც, 35 ცენტად არის შეძენილი.

ხმაური – ფარული საფრთხე ადამიანისთვის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მკვლევარებმა დაადგინეს, რომ 85 დეციბელზე მაღალ, რვასაათიან ფონურ ხმაურს შეუძლია გულსისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემების პათოლოგიები გამოიწვიოს, ასევე, ტვინსა და სმენის ორგანოებს შორის კავშირი დაარღვიოს. ხმაურით დაბინძურება გარემოზე დამანგრეველი ფიზიკური ზემოქმედების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევა. მაღალი ხმები, რომლებიც დასაშვებ ნორმებს აჭარბებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ტინიტუსი, ან სმენის სრული დაკარგვაც კი. ჯანმო-ს მონაცემებით, ტინიტუსი აწუხებს ყოველ მეშვიდე ზრდასრულს ევროპაში. სმენის გარდა, ხმაური გულსისხლძარღვთა სისტემასაც ემუქრება. ხმაურით გამოწვეული ძილის დარღვევა კი, შესაძლოა, სტრესების, ნერვული სისტემის პრობლემებისა და იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს.

კლინიკაში რობოტი-თაროები მუშაობენ

შოტლანდიის ერთ-ერთ საავადმყოფოში რობოტი-თაროები დანერგეს, რომლებიც მედდებს, პაციენტებსა და მათ ახლობლებს წამლების მიღებას ახსენებენ. „ჭკვიანი" თარო ქალაქ აბერდინის ბავშვთა კლინიკაში მუშაობს. ეს პირველი მსგავსი გამოცდილებაა მსოფლიო სამედიცინო სივრცისთვის. ის სამედიცინო პერსონალს უმსუბუქებს სამუშაოს. რობოტ-თაროში მონაცემები ექიმებს შეჰყავთ, თუ როდის და რა დოზით უნდა მიიღოს პაციენტმა ესა თუ ის პრეპარატი. თარო მხოლოდ საჭირო დროს გაიღება და ჩამოაგდებს უჯრაში იმ წამალს, რომლის მიღების დროც არის. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი არ აიღებს წამალს უჯრიდან, რობოტი-თარო წითლად გაანათებს.

11 წლის რეკორდსმენი

ამომავალი მზის ქვეყანაში, 11 წლის სკოლის მოსწავლემ ურთულესი ტესტი ჩააბარა მათემატიკაში, რომელსაც ჩვეულებრივ, სტუდენტ-მათემატიკოსებს აძლევენ, ხოლმე. ის ყველაზე ახალგაზრდა მოწაფეა, რომელმაც ეს ტესტი დაძლია. წინა რეკორდი 13 წლის ბიჭს ეკუთვნის. ჰიროტო ტაკაჰასი ტოკიოში ცხოვრობს და მეხუთე კლასში სწავლობს. მათემატიკით ის სამი წლის ასაკიდან არის დაინტერესებული. უკვე შვიდი წლისამ, მესამე დონის ტესტი ჩააბარა, რომელიც მე-11 კლასელებისთვის არის განკუთვნილი, ერთი წლის შემდეგ კი, მეორე დონის ტესტიც დაძლია. „მინდა, მათემატიკოსი გავხდე. ახალი ჰიპოთეზები წამოვაყენო და დაავამტკიცო ახალი თეორემები“, – აცხადებს რეკორდსმენი მოსწავლე.

დიაბეტი ტვინს აპატარავებს?

სწავლულებმა შაქრიანი დიაბეტისას, მეხსიერების დაქვეითების ძირითადი მიზეზი დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ ამ დაავადებისას, შესაძლებელია თავის ტვინის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება. განსაკუთრებით მძაფრად ეს პათოლოგია ვითარდება 40-64 წლის ასაკში. ეს მონაცემები დადასტურდა შაქრიანი დიაბეტის მქონე 1.4 ათასი პაციენტის ანალიზების შესწავლისას. დაავადებულების საშუალო ასაკმა 80 წელი შეადგინა. ტვინის სკანირებამ აჩვენა მისი საშუალოდ 2.9%-ით შემცირება. ყველაზე მეტად კი ჰიპოკამპი აღმოჩნდა დაზარალებული – ის 4%-ით შემცირდა. ტვინის ეს სტრუქტურა პასუხისმგებელია პროცესებზე, რაც ინფორმაციის დამახსოვრებას უკავშირდება. ჰიპოკამპის შემცირება მეხსიერების, როგორც ხანმოკლე, ისე – ხანგრძლივ დაკარგვას იწვევს. თავის ტვინის დაზიანებისგან კი არავინ არის დაზღვეული – არც ახალგაზრდა და არც დიაბეტით დაავადებული მოხუცი.

რობოტმა ფილტვები გადაუნერგა

აშშ-ში, პირველად მედიცინის ისტორიაში, უნიკალური ოპერაცია ჩატარდა – რობოტმა ქალს ფილტვები გადაუნერგა. ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის – NYU Langone Health-ის ცნობით, პაციენტი შერილ მერკარი იყო. ის 57 წლისაა და თავადაც ექიმია. მას ათ წელზე მეტია, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება სტანჯავდა. კორონავირუსის გადატანის შემდეგ კი გამწვავდა და მისი მდგომარეობა დამძიმდა. ოპერაცია ერთი თვის წინ გაკეთდა და შერილი უკვე კლინიკიდან გამოწერისთვის ემზადება. მედიკოსების თქმით, ამ მეთოდით მათ საშუალება ექნებათ, მაქსიმალურად წარმატებით ჩაატარონ ოპერაციები და შეამცირონ ის ნეგატიური შედეგები, რაც ქირურგიულ ჩარევას მოჰყვება. ქალბატონი მერკარი ახლა თავს გადასარევად გრძნობს. მისი თქმით, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე თავისუფლად სუნთქვას შეძლებდა და სიცოცხლის მეორე შანსი მიეცემოდა.

„მცურავ“ ელექტრომობილს გამოუშვებენ

იაპონური კომპანია – Fomm, ისეთი ელექტრომობილის გამოშვებას გეგმავს, რომელსაც გადაადგილება შეეძლება, როგორც ხმელეთზე, ასევე – წყალზეც. ავტომობილმა არა მხოლოდ დატბორილ გზებზე გავლა, არამედ, მყარი ზედაპირის არასებობის შემთხვევაში, სპეციალური ფორმის ბორბლიანი დისკების დახმარებით, წყალზე მოძრაობა და მიმართულების შეცვლაც უნდა შეძლოს. მცურავი მანქანის გამოშვება სპეციალისტებმა ფუკუსიმას მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ გადაწყვიტეს. ახალი ელექტრომობილი ოთხ ადამიანზეა გათვლილი. მას საათში 80 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეეძლება. აკუმულატორი ერთ დამუხტვაზე 166 კილომეტრის გავლას უზრუნველჰყოფს. კომპანია, ჯერჯერობით, 5000 ელექტრომობილის შექმნას გეგმავს, რომელთაგან 20% იაპონურ ბაზარზე დარჩება. მისი შეძენა 25 ათას დოლარად იქნება შესაძლებელი.

სახლის მტვერი კიბოს იწვევს?

საყოფაცხოვრებო მტვერი, შესაძლოა, ასთმის, ალერგიისა და სიმსივნის განვითარების მიზეზიც კი გახდეს, – ასეთ განცხადებას აკეთებენ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულები. მათ ანალიზები ჩაატარეს და ქვეყნის 14 შტატში მდებარე სახლებიდან აღებულ მტვერზე მონაცემები შეაგროვეს. მკვლევარებმა მასში 45, პოტენციურად საშიში ტოქსიკური ნივთიერება აღმოაჩინეს. კერძოდ, ქიმიური ნივთიერება ფტალატების სახელწოდებით, ჰაერში პროდუქტებისგან ჩნდება, მერე კი სახლში მდებარე ნივთებზე, იატაკზე გროვდება. ადამიანებს ძალიან ადვილად შეუძლიათ მათი ჩაყლაპვა, ფტალატები კანის მეშვეობითაც აღწევენ ორგანიზმში. ამ დროს განსაკუთრებული რისკის ქვეშ პატარები არიან. სახლში საშიში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია რომ შევამციროთ, აუცილებელია დავიცვათ ელემენტარული ჰიგიენის წესები.

Facebook-მა დაკარგული ბეჭედი აპოვნინა

აშშ-ის ჯორჯიის შტატში, ახალგაზრდა მამაკაცმა, საცოლისთვის ხელის სათხოვნელად, რომანტიკული ადგილი – პლაჟი შეარჩია. ბრაიან კერსიამ, ოკეანის სანაპიროზე სეირნობისას, რჩეულის წინ დაიჩოქა და ცოლობა სთხოვა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ბრილიანტის თვლებიანი ნიშნობის ბეჭედი კოლოფიანად ქვიშაზე დადო და საყვარელ ქალს გადაეხვია. ამ რომანტიკულ ისტორიას კურიოზული გაგრძელება მოჰყვა. ორიოდე წუთში, წყვილმა გააცნობიერა, რომ ბეჭედი კოლოფიანად „აორთქლდა“. საცოლე თავიდან არც კი იჯერებდა, რომ ბეჭედი მართლა დაიკარგა და ეს ყველაფერი ხუმრობა ეგონა. რამდენიმესათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა წყვილმა ეს ისტორია სოციალურ ქსელში დაწერა. ახალგაზრდები არ ელოდენენ, რომ მათ პოსტს ამდენი გამოხმაურება და ბედნიერი დასასრული ექნებოდა. რამდენიმე საათში, მათ მამაკაცი დაუკავშირდა და ბრაიანს კოლოფში ჩადებული ბეჭდის ფოტო გაუგზავნა. ასე რომ, Facebook-ის საშუალებით, შეყვარებულმა წყვილმა ნიშნობის ძვირფასი ბეჭდის პოვნა შეძლო.

რძე კიბოს პროვოცირებას ახდენს?

რძე ძალიან საშიში პროდუქტი აღმოჩნდა, – აცხადებენ შვედი მეცნიერები, რომელთაც მასშტაბური კვლევები ჩაატარეს. ექსპერიმენტში მათ რამდენიმე ასეული ქალი მიიწვიეს. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ სიკვდილიანობა ზუსტად სამჯერ იზრდება მათ შორის, ვინც ყოველდღიურად ნახევარ ლიტრზე მეტ რძეს მიირთმევს. სუსტი სქესის წარმომადგენლებში რძე საკვერცხეების კიბოს, ხოლო მამაკაცებში – პროსტატის კიბოს განვითარების რისკს ზრდის, ასევე, იწვევს პირველი ტიპის დიაბეტის წარმოშობას, გაფანტულ სკლეროზს, ზრდის ქოლესტერინის დონეს. გარდა ამისა, როგორც შვედი სწავლულები ამტკიცებენ, რძე არანაირად არ უწყობს ხელს ძვლების გამაგრებას, როგორც ადრე მიიჩნევდნენ. მკვლევართა თქმით, ამ მიზნით, სჯობს, ადამიანმა ყველი, ან იოგურტი მიირთვას.

დამბლას დამარცხების გზას მიაგნეს

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა, მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვნი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია შეუძლიათ, მათ შორის, გატეხილი ხერხემლისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები, ან პროგენიტორული უჯრედები, რომელთაც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნა შეუძლიათ. ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის აპირებენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

მოწყობილობა ინფარქტის მოახლოებას შეგატყობინებთ

გერმანელმა სწავლულებმა, ჰამბურგის უნივერსიტეტიდან, პორტატული რადარი შექმნეს, რომელიც რამდენიმე წამში, უკონტაქტოდ აფიქსირებს დარღვევებს სისხლძარღვთა სისტემაში და ადამიანს ინფარქტის, ან ინსულტის მოახლოებაზე დროულად აფრთხილებს. მოწყობილობა მცირე, სიგარეტის კოლოფის ზომისაა და რთულ სენსორულ სისტემას წარმოადგენს. ამ აპარატის გამოყენება სახლშიც შეიძლება. ადამიანის ჯანმრთელობის უკონტაქტო მონიტორინგის დროს, პატარა სენსორები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მაჩვენებლებს აფიქსირებენ და მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, განგაშის სიგნალს რთავენ. ამ დროს, ადამიანი არ უნდა დაელოდოს შეტევას და სასწრაფო დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს. აღსანიშნავია, რომ ინფარქტი და ინსულტი მსოფლიოში გულსისხლძარღვთა ყველაზე ხშირი დაავადებებია.

საიტი სიკვდილის შიშს დაგაძლევინებთ

ბრიტანულმა კრეატიულმა კომპანიამ – The Liminal Space, შექმნა საიტი – Life Support, რომლითაც ადამიანებს დაეხმარებიან, უკეთ ჩასწვდნენ სიკვდილის არსს და მისი გარდაუვლობა მიიღონ. კონტენტი დიდი ბრიტანეთის სამედიცინო აკადემიის მხარდაჭერით შეიქმნა. საიტზე შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია იმის შესახებ, როგორია სიკვდილი, როგორ შეინარჩუნოთ ღირსება სიცოცხლის ბოლოს და როგორ გადალახოთ ამ თემის განხილვის შიში. მომხმარებლებს საიტზე ექსპერტების მოსაზრებების გაცნობაც შეუძლიათ, ასევე, მიიღეებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, ნახავენ ისტორიებს მათი პირადი გამოცდილებიდან, ვინც სიკვდილს „თვალებში ჩახედა“.

საკვებს ჰაერიდან იღებენ

ჰაერიდან მიღებული „შნიცელი“ ფინელი სწავლულების დამსახურებაა. სტარტაპ Solar Foods-ის მონაწილეების გამოგონებაშიხ საკვებისთვის მთავარი ინგრედიენტი ყვითელი ფქვილია, რომელიც 65% ცილა Solein-ს შეიცავს. ფქვილი სპეციალურ ბიორეაქტორში მიიღეს, რომელშიც თხევადი მიკროორგანიზების დაქუცმაცება ხდება: ფერმენტერში ამატებენ წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის ნაერთს, რის შემდეგაც გამოიყოფა საკვები ნივთიერებები. მას აშრობენ და ფქვილად აქცევენ. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ მომავალში, ამ ტექნოლოგიით მიღებული პროდუქტებით პლანეტის ყველა მცხოვრების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი. ამასთან, მისი წარმოება ეკოლოგიურიც არის, რადგან ცილა Solein-ის წარმოებისთვის „მწვანე ამიაკი“ გამოიყენება. როგორც ენერგიის წყარო, ის 9-ჯერ მძლავრია ლითიუმ-იონურ ბატარეებზე და მისი გამოყენებისას, ნახშირბადი საერთოდ არ გამოიყოფა.

ჟირაფების ექსკრემენტებით გათბებიან



ამ გრაციოზული ცხოველების დანახვისას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენს, რომ მათი გამოყენება მეურნეობაში შეიძლება. თუმცა, სწორედ ამით დაკავდებიან საფრანგეთში, მენისა და ლუარას რეგიონების მცხოვრებლები. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, დუე-ლა-ფონტენში მდებარე ზოოპარკი 35 მესაქონლესთან გაერთიანდა „მწვანე“ ბიზნეს-ინიციატივის განსახორციელებლად, რაც 1700 სახლის ეკოლოგიურად სუფთა საწვავით – ჟირაფებისა და ძროხების ნაკელით გათბობას გულისხმობს. ინოვატორები უკვე შეუთანხმდნენ მეთანის ადგილობრივ ქარხანას ზოოპარკისა და მესაქონლეებისგან მიღებული ნაკელის გამოყენებაზე. გაზსადენის ამუშავება უკვე წლის ბოლოს იგეგმება. ექსპერტების გათვლებით, ამ გზით, წელიწადში 2 მილიონი კუბამეტრი მეთანის მიღებაა შესაძლებელი, რაც საკმარისი იქნება 1700 ოჯახისთვის გათბობის უზრუნველსაყოფად.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.